საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეკლესიებაზე ეხაძაგლესია.

პარასკევი, 4 მარტი. 2022 წ. №33 (9371) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი



იხ. 2 გვ.

აპოკალიფსის ოთხი მხედარი უკრაინის თავზე

სასესიო დარბაზი ზუსტად იმ დროს გაივსო ოპოზიციის წევრებით, რა დროსაც ზელენსკიმ ელჩის გამოწვევის განცხადება გააკეთა!

უკრაინის თავზე ლამის, აპოკალიფსის ოთხი მხედარია შემოსული და ამ დროს უკრაინის ხელისუფლებაში მოიცალეს იმისთვის, რომ საბოლოოდ გაეფუჭებინათ საქართველოსთან ურთიერთობები. ვა-ბანკზე წავიდა უკრაინის მარიონეტული ხელისუფლება და თავის მეგობარ, მოკავშირე, ერთგულ ქმასთან საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა

იაპონია ომში მოხალისეებს არ გაგზავნის

იაპონიის მთავრობას სურს, რომ **უკრაინის საელჩომ თავი შეიკავოს რუსეთთან დაპირისპირებაში იაპონიის მოქალაქეების მოხალისეებად ჩართვისგან,** — ამის შესახებ ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის გენმდივანმა ჰიროკაძუ მაცუნომ განაცხადა.

„იაპონიამ უკრაინაში მყოფ იაპონელებს ევაკუაციისკენ მოუწოდა. ჩვენ არ გვსურს, რომ იაპონელები გაემგზავრონ უკრაინაში, განურჩევლად მიზეზისა“, — განაცხადა მაცუნომ. მანამდე იაპონიაში უკრაინის საელჩომ განაცხადა, რომ 70-მა იაპონელმა, მათ შორის თავდაცვის ძალების 50-მა ყოფილმა წევრმა უკრაინაში მოხალისედ გამგზავრების სურვილი გამოთქვა.

მოხალისეების უკრაინაში გაგზავნას ბრიტანეთიც ეწინააღმდეგება

დიდი ბრიტანეთის **პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობა აქტიურ მხარდაჭერას არ უწევს ბრიტანელ მოხალისეებს, რომლებსაც უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა სურთ.**

ჟურნალისტის კითხვაზე, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერს მოხალისეებს მათ ძალისხმევაში უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას შეუერთდნენ, ბორის ჯონსონმა უპასუხა: **ამის შესახებ ძალიან მკაფიოდ ვიტყვი, რადგან თქვენ არ ხართ მართალი, როდესაც საბრძოლველად მიმავალი მოხალისეების მხარდაჭერაზე საუბრობთ. დიდი ბრიტანეთი არ აკეთებს ასეთ რამეს აქტიურად. რა თქმა უნდა, მესმის იმ ადამიანების გრძნობები, რომლებიც ემოციურად არიან ჩართულნი ამ კონფლიქტში, მაგრამ ჩვენ გვაქვს კანონები საერთაშორისო კონფლიქტების შესახებ და თუ როგორ უნდა წარიმართოს ის.**

დედის თვალებზე ცრემლი არ გვენახოს!

გილოცავთ დედის დღეს!

ნაბიჯ-ნაბიჯ ევროპისკენ!

საქართველო **სამი ათეული წელია ყველაფერს აკეთებს და აგურ-აგურ აშენებს ხიდს ევროკავშირთან. თაობები, რაც შეიძლება, ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გავხდეთ ძალიან მალე. შესაბამისად, თუ ეს გადაწყვეტილება იქნება მიღებული, დღესვე, მზად ვართ, გავხდეთ ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ვფიქრობ, საქართველომ ყველაფერი გააკეთა ბოლო წლების განმავლობაში ამისთვის. ძალიან დიდი წინსვლა გვაქვს საგარეო მიმართულებით. დღეს რომ საქართველოს მოქალაქეები ქართული პასპორტით გადაადგილდებიან უპრობლემოდ, ვიზების გარეშე, ესეც ჩვენი მიღწევა და ყველას დამსახურებაა. ბევრი კარგი საქმე გვაქვს გაკეთებული, ბევრი რეფორმაა განხორციელებული და დღეს, საქართველო მზად არის, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა.**

კახა კალაძე.

პრეზიდენტო ზელენსკი, პრემიერო შმიგალო! განსაცდელმა სახე არ უნდა დაგაკარგვინოთ!

3

ჯო ბაიდენი: ჩვენი ძალები არ ჩაერთვებიან კონფლიქტში..

8

როგორ აღმოჩნდა 2008 წელს სტრატეგიული ობიექტები რუსეთის მმართველობაში

7

ომის მიზეზებს პუტინი შუა საუკუნეებში ეძებს

6

ბაიდენი და ლავროვი კიდევ ერთხელ გვაფრთხილებენ!

თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, ის ბირთვული იქნება!

მესამე მსოფლიო ომი, თუ კი ის დაიწყება, იქნება ბირთვული და დამანგრეველი, — ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეარხ Aljazeera-ს განუცხადა.

„მესამე მსოფლიო ომი იქნება დამანგრეველი ბირთვული ომი“, — თქვა ოკუპანტი ქვეყნის მინისტრმა. ასე გამოეხმაურა ლავროვი შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებას, რომ მკაცრი სანქციების ალტერნატივა, რომელიც ვაშინგტონმა მოსკოვს დაუწესა, იქნება მესამე მსოფლიო ომი.

კრემლს ვიქტორ იანუკოვიჩის თანამდებობაზე აღდგენა სურს!

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი, სამშობლოს ღალატისთვის გასამართლებული, კრემლის ემისარი ვიქტორ იანუკოვიჩი მინსკში იმყოფება. უკრაინული მედია დაზვერვაზე დაყრდნობით იუწყება, რომ კრემლი მას სპეცოპერაციისთვის ამზადებს.

აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ვერსიით, ცდილობენ ის უკრაინის “პრეზიდენტად“ გამოაცხადონ.

უკრაინული მედია აღნიშნავს, რომ გავრცელებული ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კრემლი უკრაინაში იანუკოვიჩის დაბრუნების საინფორმაციო ოპერაციას, ან უახლოეს ხანებში უკრაინელი ხალხისადმი მისი მიმართვის გავრცელებას ამზადებს.

შეგახსენებთ, ჯერ კიდევ იანვარში, ბრიტანული დაზვერვა იტყობინებოდა, რომ კრემლს უკრაინაში პრორუსი მმართველის დანიშვნა აქვს განზრახული. ბრიტანეთის დაზვერვის ცნობით, კრემლი უკრაინაში მარიონეტული მთავრობის მეთაურად, უმაღლესი რადის ყოფილ დეპუტატს, პროპაგანდისტული ტელეარხ „ნაშის“ მფლობელ ევჰენ მურაევს განიხილავდა...

იძულებით გადაადგილებულ უკრაინელთა რაოდენობამ შესაძლოა, შვიდ მილიონს გადააჭარბოს!

ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების უმეტესობა მხარს უჭერს უკრაინელი ლტოლვილების გამარტივებული წესით მიღებას. ევროპა ბოლო წლების უდიდესი ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე დგას. ევროკომისიაში აცხადებენ, რომ იძულებით გადაადგილებულ უკრაინელთა რაოდენობამ შესაძლოა, შვიდ მილიონს გადააჭარბოს, — ამის შესახებ ჰუმანიტარული დახმარებისა და კრიზისების მართვის საკითხებში ევროკომისარმა, იანეს ლენარჩიჩმა ბრიუსელში ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების სხდომის შემდეგ განაცხადა.

„ამჟამად იძულებით გადაადგილებული უკრაინელების მოსალოდნელი რაოდენობა არის შვიდ მილიონზე მეტი, და ყველაზე ცუდი სცენარის შემთხვევაში, თუ ეს ომი გაგრძელდება, ისინი აღმოჩნდებიან ჰუმანიტარული დახმარების სასწრაფო საჭიროების წინაშე. ჩვენ ვართ თვითმხილველები მოვლენის, რომელიც შესაძლოა, ევროპის კონტინენტზე მრავალი წლის უდიდესი ჰუმანიტარული კრიზისი გახდეს. ახლა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ჰუმანიტარული საჭიროებები იზრდება. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ომით დაზარალებული ხალხის დახმარება“, — განაცხადა ევროკომისარმა.

პარალელურად, ევროკავშირის შინაგან საქმეთა მინისტრების უმეტესობა მხარს უჭერს ევროკავშირის დროებითი დაცვის დირექტივის ამოქმედებას, რაც უკრაინელი ლტოლვილების გამარტივებული წესით მიღებას ითვალისწინებს. ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

ამგვარად, უკრაინელ ლტოლვილებს უფლება ექნებათ, ევროკავშირში სამი წლით დარჩნენ ისე, რომ თავშესაფარი არ მოითხოვონ.

ამჟამად, უკრაინის მოქალაქეებს, უვიზო რეჟიმის ფარგლებში, შენგენის ზონაში 90 დღით დარჩენის უფლება აქვთ. ევროკავშირში აცხადებენ, რომ დროებითი დაცვის დირექტივის ამოქმედებით, უკრაინელებს გაუმარტივდებათ ევროკავშირის ქვეყნებში დროებით დასახლება და ეს მათ თავიდან ააცილებს ბიუროკრატიულ პროცედურებს.

აღნიშნულ საკითხზე ბრიუსელში ევროკავშირის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა იმსჯელეს. საკითხს ასევე განიხილავენ ხუთშაბათს დაგეგმილ საბჭოს სხდომაზე.

აპოკალიფსის ოთხი მხედარი უკრაინის თავზე

„ჩვენ არ ვუერთდებით ამ კონფლიქტს. უკრაინაში თვითმფრინავებს არ ვაგზავნით, რადგან ეს უკრაინის კონფლიქტში სამხედრო ჩარევას გამოიწვევს — ნატო არ არის ამ კონფლიქტის მხარე“, — განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა **ანდჟეი დუდამ** ნატოს გენერალურ მდივანთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. თავის მხრივ, **იენს სტოლტენბერგმა** აღნიშნა, რომ ნატო არ უნდა იყოს კონფლიქტის ნაწილი. ნატო არ აპირებს ჯარების გაგზავნას უკრაინაში ან თვითმფრინავების გადაყვანას უკრაინის საჰაერო სივრცეში.

ისრაელმა არ დააკმაყოფილა უკრაინის მოთხოვნა ჩაფხუტებისა და თავდაცვითი იარაღის მიწოდებაზე. მოხალისეებს, რომლებსაც უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა სურთ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, **ბორის ჯონსონის** განცხადებით, ბრიტანეთის მთავრობა აქტიურ მხარდაჭერას არ უწევს.

გარდა ამისა, რუმინეთის ხელისუფლება პირდაპირ აცხადებს, რომ არ იქნება ჩართული უკრაინაში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტში. ასევე, ევროკავშირის სამხედრო ტვირთის გატარებაზე უარი განაცხადა უნგრეთმა. ასევე, სლოვაკეთის ხელისუფლება უარს აცხადებს უკრაინას გადასცეს სლოვაკეთის სამხედრო თვითმფრინავები „მიგ-29“ რუსეთის შემოჭრის წინააღმდეგ საპასუხოდ.

იგივე პოზიცია აქვს ბულგარეთის ხელისუფლებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის პრეზიდენტის **ჯო ბაიდენის** განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ აშშ-ის სამხედრო ძალები უკრაინაში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში არ ჩაერთვებიან. სამხედრო კონფლიქტში ჩართვისაგან თავს იკვებს სომხეთი, აზერბაიჯანი და მათ შორის თურქეთი, რომელიც უარს ამბობს რუსეთთან საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტაზე. გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთი არ აპირებს შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, **მევლუთ ჩავუშოღლუ** ამბობს: **„ჩვენ საერთოდ არანაირ სანქციაში არ მიგვიღია მონაწილეობა და არც არანაირი სურვილი გვაქვს, რომ მივიღოთ“.**

იმის მიუხედავად, რომ ევროპის ქვეყნები და მათ შორის აშშ ღიად ამბობს უარს ჩაერთოს რუსეთ-უკრაინის ომში, მათ შორის უარს ამბობენ შეუერთდნენ დაწესებულ სანქციებს, მაგალითად მოლდოვა, ბელარუსი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ისრაელი, უკრაინის ხელისუფლებას ამ ქვეყნებიდან ელჩები კონსულტაციისთვის არ გაუწვევია. **ვოლოდიმირ ზელენსკიმ** ეს ნაბიჯი გადადგა საქართველოსთან მიმართებაში. უკრაინის პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევა ხდება იმის გამო, რომ ქართულმა მხარემ ხელი შეუშალა ქართველი მოხალისეების უკრაინაში გამგზავრებას, ხოლო სანქციების დაკისრების საკითხზე ჰქონდა „ამორალური პოზიცია“.

უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილება რომ გაუგებარია, ეს ცხადია, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, საქართველო აგრძელებს უკრაინის პოლიტიკურ მხარდაჭერასა და ჰუმანიტარულ დახმარებას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **ილია დარჩიაშვილი** აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობის პოზიცია უცვლელი რჩება — „უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა და ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნება“.

სასესიო დარბაზი ზუსტად იმ დროს გაივსო ოპოზიციის წევრებით, რა დროსაც ზელენსკიმ ელჩის გამოწვევის განცხადება გააკეთა!

„სამწუხაროდ, არ წყდება საქართველოს ომში ჩაბმის მცდელობები და პროვოკაციები, რომელშიც პირდაპირ ჩართულია დესტრუქციული ოპოზიცია და „ნაციონალური მოძრაობა“. ამის მიზანია საომარი მოქმედებების დაწყება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ეს არის მართული პროცესი დესტრუქციული ოპოზიციის და მისი წევრების მხრიდან როგორც თბილისში, ისე კიევში. პროვოკაციული იყო გუშინ, მოხალისეების ჩარტერული რეისით უკრაინაში გაგზავნის დემონსტრაციული მცდელობა, რაც ასევე იყო ორგანიზებული **„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ და იქნებოდა აღქმული როგორც საქართველოს საომარ მოქმედებებში ირიბი ჩართვა“,** — განაცხადა **ილია დარჩიაშვილმა.**

იხ. 8 გვ.

პრეზიდენტო ზელენსკი, პრემიერო შმიგალო! განსაცდელმა სახე არ უნდა დაგვაკარგვინოთ!

ჩემი, როგორც ერთი მებრძოლი ქართველის (1992 წ. აფხაზეთი) გულწრფელი მხარდაჭერა უკრაინას და უკრაინელ ხალხს! ჩემი გულწრფელი მხარდაჭერა უკრაინის ხელისუფლებას!

რუსეთ-უკრაინის ომის არსი და მნიშვნელობა, დედამიწის ზურგზე, **თუ ვინმეს შეიძლება ესმოდეს, რუსეთთან ოცდაცამეტწლიან უწყვეტ ომში მყოფი საქართველოს სახელმწიფო და მისი დღევანდელი ხელისუფლებაა,** ქართველი ხალხის ნებით არჩეული ღირსეული ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სამშობლოს ორ რეგიონში რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილებია განლაგებული, რიგითი ქართველით დაწყებული და ხელისუფლებით დამთავრებული, ძალისხმევას არ ვზოგავთ მოძმე და ერთმორწმუნე უკრაინელი ერის მხარდასაჭერად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემს მოქალაქეობრივ ვალდებულებად მიმაჩნია, ყველგან და ყოველთვის დავიცვა, როგორც თითოეული თანამოქალაქის, ისე ხელისუფლების თითოეული წარმომადგენლის ღირსება, იმ რწმენით, რომ ამით დავიცავ ჩემი ქვეყნის ღირსებასაც.

როდესაც პრეზიდენტ ზელენსკის ჩვენთან პირველად შეეშალა, ხმა არ ამოვიღეთ, რადგან მივიჩნიეთ, რომ მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის ერთი „წამოცდენა“ შეიძლება გაგვეტარებინა, უნებლიეში ჩავუთვალეთ. მაგრამ როდესაც პრემიერ შმიგალსაც „წამოცდა“ იმავე შინაარსის უკადრებელი და თანაც, პროვოკატორ გონჩარენკოს ტალღაზე დაჯდა, პასუხმა სავალდებულო სახე შეიძინა.

ბატონო პრეზიდენტო და ბატონო პრემიერო, არაფერი შეგეშალოთ! შეურაცხყოფასა და აგდებულ დამოკიდებულებას ვერავისგან მივიღებთ. კაცური წესია, გაჭირვებამ და შიშმა სახე არ უნდა დაგვაკარგვინოთ.

სამწუხაროდ, თქვენგან უფრო მძიმე „შეცდომებიც“ გვახსოვს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, ომის პირველი წუთებიდან თქვენ გვერდით დავმდგარიყავით ყველა შესაძლო საშუალებით (ჩამონათვალს აღარ შევუდგებით — ყველასთვის ცნობილია).

უკრაინა ჩვენი მეგობარი იყო საუკუნის წინაც, როცა საბჭოთა რუსეთის ტყვეობაში აღმოვჩნდით და დღესაც, დამოუკიდებლობის ოცდაათი წლის განმავლობაში, უწყვეტად, თქვენი და ჩვენი სხვადასხვა ხელისუფლებების პირობებში!

თქვენ მიერ ახლო წარსულში დაშვებული მძიმე „შეცდომებიდან“ მხოლოდ ერთს გავიხსენებ, რაზედაც ერთ ჩემს წერილში, ომამდე, მწარე საყვედურები გაკადრეთ: **„ბოლო წლებში უკრაინა წარმოადგენდა საქართველოს პრობლემების მართვის ცენტრს,** თუ შეიძლება ასე ითქვას, **და ბაზას ჩვენი ქვეყნის დამაზიანებელი პროექტების შემუშავებისთვის.** საქართველოში დესტაბილიზაციის ორგანიზების ყველა მცდელობა, წლების განმავლობაში, უკრაინაში იღებდა სათავეს. ეს ყველაფერი სხვის თავს რომ ხდებოდეს, დაჯერებაც კი გაგვიჭირდებოდა — რომ მეგობარი სახელმწიფო ინახავს შენი ქვეყნის მიმართ მძიმე დანაშაულებში მხილებულ (მსჯავრდებულ) ადამიანს; რომ მისი ავტორიტეტის ამაღლებისთვის, საქმის კეთებაში სრული უუნარობის მიუხედავად, ნიშნავს მაღალ თანამდებობებზე; რომ აძლევს ნაძარცვი ფულის ბრუნვის საშუალებას; რომ თავშესაფარს აძლევს მისი გარემოცვის სხვა მსჯავრდებულ დამნაშავეებს; რომ თვალს ხუჭავს მეგობარი სახელმწიფოს საზიანოდ წარმოებულ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე და ა.შ.“

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, იოტისოდენა გაორებაც არ მქონია თქვენ გვერდით დგომის სურვილში. თქვენი გაჭირვება ჩვენი გაჭირვებაა, თქვენი ბრძოლა — ჩვენი ბრძოლა!

მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო გულწრფელი მხარდაჭერა უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ! ჩემი გულწრფელი მხარდაჭერა თქვენ, უკრაინის ხელისუფლებავ! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ მძიმე ომში სამართლიანობისთვის!

ბიძინა დვალი
01.03.2022 წ.

P.S. **წერილი** დასრულებული მქონდა, ელჩის გაწვევის შესახებ ინფორმაციას რომ გავეცანი. ვეთანხმები „ქართული ოცნების“ ლიდერების შეფასებებს: აშკარად საქმე გვაქვს საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევის მცდელობასთან. რბილად რომ ვთქვათ, პრეზიდენტ ზელენსკის კიდევ ერთი მძიმე შეცდომა მოუვიდა.

P.P.S. **კარგად** ხედავთ, გასაგები მიზეზების გამო, გამწვავებას ვერიდები, მაგრამ ერთ მრავლისმთქმელ შეუსაბამობას მაინც აღვნიშნავ — ბელორუსში უკრაინის საელჩო ძველ რეჟიმში განაგრძობს ფუნქციონირებას(?), როცა ჩვეულებრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, მსგავს ვითარებაში, არათუ გამოწვევის, არამედ დიპლომატიური ურთიერთობების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხი დგება ხოლმე დღის წესრიგში. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით კითხვა ბევრია. პასუხებიც, ვფიქრობ, ნათელია... მაგრამ... ამაზე შემდგომ. ერთი სიტყვით, ცალმხრივ მორატორიუმს ვაცხადებ ომის დასრულებამდე.

პრემიერის პოზიცია ქართველი ხალხის პოზიციაა

ამდენი ფილოსოფოსი თუ გვყავდა საქართველოში, მართალი გითხრათ, ნამდვილად არ მეგონა. აქაოდა, დემოკრატიააო და ჩვენი აზრის გამოხატვის უფლება ყველასა გვაქვსო, ყველა მეორე მოქალაქე ქვეყნის მთავრობის ნაცვლად თვითონ სახავს ეროვნულ სამოქმედო პროგრამას. ეს იქნებ თავისთავად ცუდიც არ არის, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად, ჩვეული ქვეყნის საზიანო პოლიტიკით კვლავ და კვლავ ქოჩორზე ტრიალებს ეგრეთ წოდებული ოპოზიცია, რომელსაც ისე ადარდებს საქართველოს ბედი, როგორც ჩინურ ენის გრამატიკის სირთულე.

არევ-დარევის საბაბსა თუ მიზეზს რა გამოლევს! ომი უკრაინაში, იცოცხლე, კარგი კბილჩასაჭიდი გამოდგა ძალაუფლებისთვის გაგიჟებული ნაციონალებისთვის, რომელთა მავნებლურ, ანტიეროვნულ ფეხის ხმას აყოლილი, ცნობადობადაკარგული წვრილფეხა ოპოზიციაც — „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებელს“, „დროასა“ და „გირჩის“ სახით ეს სახეწაშლილნი ყველანი ერთად, ჩვეულებისამებრ კრიჭაში უდგანან ხელისუფლებას, რომელიც შეძლებისდაგვარად ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს თავისუფლებისთვის მებრძოლ უკრაინელ ხალხს. მე ცხრა წელი ვსწავლობდი ოდესაში, იქ დავიცავი დისერტაციაც და ვიცი უკრაინელთა ძმური დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ. უკრაინელებმა იციან, რომ ჩვენ რაც შეგვიძლია, ისე ვეხმარებით

არა, ეს დახმარება არ არისო, საჭიროა ხელისუფლებამ სანქციები დაუწესოს რუსეთს და მოხალისენი გაგზავნოს უკრაინაში რუსის ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველადო, რაც აშკარად ომში ჩაბმას უდრის და რასაც არ აკეთებს ისეთი ქვეყნებიც კი, როგორიც დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი და თურქეთია, პატარა ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამ თვალსაზრისით, უთუოდ სწორ ეროვნულ პოლიტიკას ატარებს ჩვენი ხელისუფლება და, კერძოდ, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც აშკარად ომი გამოუცხადა სინდისდაღამებულმა ოპოზიციამ.

მაგრამ მარტო ეს არ იკმარა, ისე შეაგულიანა უკრაინის, როგორც ჩანს, პოლიტიკაში გამოუცდელი პრეზიდენტი, რომ მან ელჩი დოლგოვიც კი გაიწვია გაბრაზებულ გულზე, რაც ყველა საღად მოაზროვნე ქართველის შეურაცხყოფაა!

ვისაც საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის კარგი უნდა, ყველა ხედავს, რომ ჩვენი ხელისუფლების და პირადად პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია დიახაც ქართველი ხალხის მტკიცე პოზიციაა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან მომავალზეა გამიზნული.

თუ პრეზიდენტი ზელენსკი სააკაშვილის, არახამიას, ადეიშვილის და საყვარელიძის ჭკუაზე დადის, მაშინ წასულია მაგისი საქმე!

მანუჩარ ხუსკივაძე,
ინჟინერი



„მრცხვენია, როცა ნატოს ლიდერები ჩივიან, რომ „კონფლიქტში ვერ ჩაებმებიან“!..

სანქციები ვერ შეაჩერებს პუტინს, როგორიც არ უნდა იყოს ისინი. უკვე დაწყებული ომის შეჩერება მხოლოდ ომს შეუძლია, — ლიეტუვის ყოფილმა პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ სოციალურ ქსელში დაწერა. მისი თქმით, არ არის საჭირო თავის მოკატუნება და სინდისის დამშვიდება მხოლოდ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით.

„უკრაინელი ხალხი ჩვენთვის ომობს, მათი შვილები გვიცავენ პუტინის სიგიჟისგან. მანტრის მუდმივი გამეორება, რომ ნატო უკრაინას ვერ დაეხმარება, უკვე პათეტიკურად ჟღერს და დასავლეთის სიმხდალეს აჩვენებს. დასავლეთს მაინც არ ესმის, რომ უკრაინაში ევროპული ომია. თქვენ ან მონაწილეობთ და ებრძვით აგრესორს, ან დგახართ და უყურებთ უკრაინისა და მისი ხალხის განადგურებას და ხდებით პარტნიორები ომის დანაშაულებში.

თუ პუტინს არ შევაჩერებთ უკრაინაში, მაინც მოგვიწევს ბრძოლა, მაგრამ ჩვენს ქვეყნებში. უკრაინა რეალურ დახმარებას ითხოვს, ჩვენ კი ტელეეკრანებზე ვუყურებთ საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებას და ვირწმუნებით, რომ „მტკიცედ ვუჭერთ მხარს უკრაინას“.

მრცხვენია იმის მოსმენა, როცა ნატოს ქვეყნების ლიდერები და ოფიციალური პირები ჩივიან, რომ „კონფლიქტში ვერ ჩაებმებიან“, სირიაში, ლიბიაში, აფრიკაში, იუგოსლავიაში, ავღანეთში შეგვეძლო? დღეს უკრაინა იბრძვის თავისი ერის გადარჩენისთვის და ევროპული მშვიდობისთვის. მაშ, გავაგრძელებთ დაკვირვებას, როგორ ნადგურდება დამოუკიდებელი სახელმწიფო?

დიდება უკრაინას. დიდება მის გმირებს, ჯერჯერობით მხოლოდ მის გმირებს, რადგან სხვები ჯერ კიდევ არ ჩანან ჰორიზონტზე“!..

პუტინის გეგმა, უკრაინა ბლიცკრიგით დაეპყრო, ჩაიშალა. ცაში და ზღვაზე რუსების უპირატესობის მიუხედავად, ისინი სახმელეთო ყველა ბრძოლას თითქმის აგებენ. პუტინის მთავარი მიზანი კიევის სწრაფად დაკავება და ზელენსკის განეიტრალება იყო, თუმცა მას გეგმა წყალში ჩაუვარდა. უკრაინელებმა ომს ალლო სწრაფად აუღეს და პუტინმა უსიამოვნო სიურპრიზი მიიღო. ახლა ომის შედეგი უკრაინის გამძლეობაზეა დამოკიდებული.

მამუკა არეშიძე:

მოსკოვმა ეს ხალხი გააერთიანა, პუტინის ყველაზე დიდი მარცხი ესაა!

უკრაინის დედაქალაქის მერი **ვიტალი კლიჩკო** კი ყველას მოუწოდებს, დაეხმარონ უკრაინას და უკრაინელებს, ხოლო თანხები უკრაინის ეროვნული ბანკის ანგარიშზე ჩარიცხონ.

„კიევის მოქალაქეებმა კიდევ ერთი ჯოჯოხეთური ღამე გაიარეს. ჩემს ქალაქში მილიონობით ადამიანს არ სძინავს, ისინი ყველანაირად ცდილობენ, შეაჩერონ რუსული აგრესია ჩვენი სახლების კარებთან და გაიჩერონ ისინი, რათა თქვენს სახლებსა და კარებზეც არ დააკაკუნონ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა და დედაქალაქი და მისთვის ბოლო ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ. ჩვენ გვკლავენ, გვესვრიან რაკეტებს, გვანადგურებენ. ქალები, ბავშვები, მოხუცები ჯოჯოხეთს გადიან. ახლა სასწრაფოდ გვჭირდება თქვენი დახმარება. საჭიროა ქველმოქმედება ჩვენი მოქალაქეებისა და მათი სიცოცხლის დასაცავად. გთხოვთ ჩარიცხეთ რამდენიც შეგიძლიათ უკრაინის ეროვნული ბანკის ანგარიშზე, გაიღეთ თანხა უკრაინელების გადასარჩენად და ევროპის მშვიდობისათვის. გაუმარჯოს უკრაინას, გაუმარჯოს ევროპას“, — განაცხადა კიევის მერმა.

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** ამბობს, რომ უკრაინა-რუსეთის ომი იმ მიმართულებით ვითარდება, რომ სავარაუდოდ, ვლადიმერ პუტინს დასახული გეგმების განხორციელება ძალიან გაუჭირდება. მთლიანად რუსეთის ამოცანებს თუ განვსაზღვრავთ, პუტინი მანამდე ვერ მიაღწევს მიზანს, სანამ უკრაინაში პრეზიდენტი ზელენსკი და მისი მთავრობაა. ვიდრე ზელენსკის ხელისუფლება უკრაინელების უზარმაზარი მხარდაჭერით საგრებლობს, მანამდე უკრაინამ კიევიც რომ დაკარგოს, დამარცხებული მაინც არ იქნება.

„ის, რომ ბლიცკრიგი არ შედგა, ფაქტია. უკრაინამ პირველ შეტევებს წარმატებით გაუძლო. რუსეთის მინიმუმი ამოცანა იყო, რომ უკრაინის სივრცე დაეკავებინა და განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილი. მათი გეგმა იყო, უკრაინისთვის მარიოპოლი, ოდესის მხარე სამუდამოდ ჩამოეშორებინა, ასევე, ზელენსკი და მისი მთავრობა პრორუსული მთავრობით ჩაენაცვლებინა. ახლა რასაც თვალს ვადევნებთ, როცა დიდი ქალაქების დაბომბვა ხდება და მთელი უკრაინის დაკავება უნდათ, ეს პუტინის გეგმებში არ შედიოდა. მას მსხვილი ქალაქების მარყუჟში მოქცევა უნდოდა, ხელისუფლება გადაეყენებინა და სამხრეთ უკრაინა სრულიად გაეკონტროლებინა. რუსეთის გეგმა წერტილოვანი დარტყმები იყო. ეს გეგმა უარყვეს და ახლა ისეთ მასირებულ დაპირისპირებაზე გადავიდნენ, როგორიც ჩეჩნეთში გააკეთეს. ხარკოვის და ჩერნიკოვის მსგავსი დაბომბვები თავიდან დაგეგმილი არ იყო. პრინციპში შედეგი ისაა, რომ რუსეთმა უკრაინისგან და მსოფლიოსგან უპრეცედენტო წინააღმდეგობა მიიღო. პუტინს ზურგი ჩინეთმაც კი აქცია. უპრეცედენტო დაპირისპირება და უკრაინელების კონსოლიდაცია მიიღეს, რაც უკრაინის ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. რუსულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილიც კი უკრაინის ხელისუფლების მხარდამჭერია“, — ამბობს მამუკა არეშიძე.

რუსეთმა უკრაინის დიდი ნაწილი რომ დაიკავოს და კიევი აიღოს, ეს გამარჯვება მაინც არ იქნება, ეს უბრალოდ წარმატება იქნება, რადგანაც უკრაინელების გატეხვა ძალიან რთულია! არეშიძე ამბობს, რომ ვლადიმერ ზელენსკის კიევიდან გაყვანის გეგმაც შეიძლება არსებობდეს, თუკი დედაქალაქი დაეცემა. თუმცა მიიჩევს, რომ ზელენსკი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, რომლის გატეხა და დედაქალაქის დატოვება ნაკლებად მოსალოდნელია.

„როდესაც დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც ზელენსკს კლოუნად აღიქვამდნენ, გამოჩნდა, რომ სრულიად სხვა ფსიქოტიპია და არნახული მამაცობა აჩვენა. ის სრულიად სწორ აქცენტებს აკეთებს. მან მოახერხა ის, რაც უკრაინის ვერც ერთმა პრეზიდენტმა ვერასდროს შეძლო, მთელი უკრაინის ერთ მუშტად შეკვრა. რუსეთი რომ ახლა ზელენსკის ლიკვიდაციაზეა ორიენტირებული, ეს კარგად ჩანს.

სხვათა შორის, ჰაკერების მიერ სხვადასხვა რუსული უწყების მიერ გატეხილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ დივერსანტებს ზელენსკის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი შტაბის ლიკვიდაცია აქვს დავალებული. ამ ომმა ძალიან ბევრი ლიდერი ამოყარა. ამიტომ, არ იქნება ზელენსკი, იქნება სხვა. რუსებს ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეცვლა ძალიან გაუჭირდება. უნდა დაუთოოს და დაანგრიოს უკრაინა, რომ ისინი გატყდნენ. ვხედავთ კადრებში უკრაინელები შიშველი ხელებით რუსულ ტანკებს უდგებიან. ეს ის ხალხია, რომლებსაც უკრაინაც და მისი იდეებიც ფეხებზე ეკიდათ, მაგრამ ოფიციალურმა მოსკოვმა იმდენი ქნა, ეს ხალხი გააერთიანა. პუტინის ყველაზე დიდი მარცხი ესაა. ამ განწყობას ვერავინ ვერ შეცვლის“, — ამბობს არეშიძე.

მისივე თქმით, გამორიცხულია, რომ პუტინმა ბირთვული იარაღი უკრაინის წინააღმდეგ ან საერთოდ რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყენოს. პუტინის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან, რომ მსგავსი ქმედების ჩადენის შემთხვევაში მსოფლიოს მხრიდან პასუხს მიიღებენ.

ლიკა ბერიკაშვილი

მამუკა ნებიერიძე: რუსეთს შეუძლია, აფხაზები აგვიჯანყონ. გააქტიურონ საქართველოში არსებული ე.წ. ურეიტინგო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები და მიგვიყვანონ ახალ კრიზისამდე!

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი, მამუკა ნებიერიძე თვლის, რომ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედების პარალელურად რუსეთს შეუძლია აფხაზები აგვიჯანყონ, ასევე გააქტიურონ საქართველოში არსებული ე.წ. ურეიტინგო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, მიგვიყვანონ რაღაც კრიზისამდე, რომ მოგვიწიოს ახალი არჩევნების ჩატარება. როგორც ექსპერტი აცხადებს, რეალურად, საქართველოსაც სერიოზული საფრთხე ემუქრება. შესაბამისად, ხელისუფლებას ერთადერთი ის უნდა მოვთხოვოთ, რომ გააძლიერონ ეროვნული გვარდია, რეზერვი, ასევე დაიწყოს ტყვია-წამლის წარმოება, გააკეთოს უფრო მეტი, გააძლიეროს ქვეყანა და მოამზადოს საზოგადოება, მოქალაქეები, რომ კონკრეტული კრიზისის დროს მარგო ჯარს არ მოუწიოს ბრძოლა.

— ბატონო მამუკა, დღეს პუტინი ვერ ხედავს ძალას, რომელსაც შეუძლია მისი გაჩერება და ამიტომ დგამს ასეთ ნაბიჯებს? შეგახსენებთ, ვლადიმერ პუტინმა თქვა, რომ ის ელოდებოდა სანქციებს და ეს მას ვერ შეაჩერებს...

— ბუნებრივია, დღეს დასავლეთის რეალურ ძალას ვერ ხედავს პუტინი და ეს ერთმნიშვნელოვანია. 2014 წლის მერე რუსეთი სერიოზულად მოემზადა, 150 ათასზე მეტი სამხედრო კონტინგენტით უტევს უკრაინას. მეორე მხარეს, NATO-ს ვგულისხმობ, რა დგას? 800 სამხედრო ბალტიის ქვეყნებში გაგზავნა ამერიკამ, 8 ახალი თვითმფრინავი F35 და NATO მზადაა(?). თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ეს არ ეხება უკრაინას, ეს არის NATO-ს ტერიტორიების დაცვა.

შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე უკრაინის ეკონომიკა ყოველთვე კარგავს 2 მილიარდ ევროს. ამიტომაც უკრაინას დღეს უზარმაზარი სამხედრო-ეკონომიკური ხასიათის დახმარების პაკეტი სჭირდება. რუსეთი იმ შემთხვევაში შეიძლება გაჩერდეს, თუ ეს დახმარება გამოიყოფა, პლუს მოხდება უკრაინის NATO-ში გაწევრება და ადგილზე, უკრაინის ტერიტორიაზე შევა NATO-ს ჯარები. ასეთ შემთხვევაში რუსეთი გარანტირებულად გაჩერდება, სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ვერ ვხედავ რუსეთის შეკავების მექანიზმს.

— მზად არის რუსეთი იმისთვის, რომ დამატებით სანქციები დაუწესონ?

— რა თქმა უნდა. 631 მილიარდი აქვა საერეზერვო დანაზოგები (ფონდები), 2014 წლიდან ეკონომიკაც ისე აქვს გადაწყობილი, რომ მეტ-ნაკლებად შეუძლია გაუძლოს ამ სანქციებს. რაც მთავარია, არ ხდება ენერგომატარებლების შესყიდვის შეზღუდვა ევროპის მხრიდან, ვთქვათ, გერმანიამ კი არ გააუქმა „ჩრდილოეთ ნაკადი 2“, არამედ შეაჩერა. ისედაც ამ მილში ჯერ გაზის ნასახი არ იყო, ასე რომ, ეს არ ნიშნავს გაუქმებას. უნდა შეწყდეს ენერგორესურსების შესყიდვა რუსეთისაგან — ეს არის სერიოზული დარტყმა რუსეთისთვის! დაუწესეს სანქციები და ბუნებრივია, ნებისმიერი სანქცია არასასიამოვნოა, მაგრამ ეს არაა ადეკვატური.

პუტინი აცხადებს, რომ მისი მიზანია უკრაინის და საქართველოს ნატოში არშეშვება. პირდაპირ აქვს გაცხადებული, არაფერს არ მალავს. დასავლეთს პირდაპირ ეუბნება, რომ თუ საქართველო და უკრაინა შევა ნატოში, ეს იქნება სერიოზული პრობლემა თქვენთვისო. ეს არის პირდაპირი ულტიმატუმი. ახლა საჭიროა სერიოზული მოქმედება დასავლეთის მხრიდან და პირველ რიგში „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ არის გასაუქმებელი და არა შესაჩერებელი. რუსეთმა ვეღარ უნდა გაყიდოს ევროპაში გაზი და ნავთობი.

— მაგრამ აქვს აზიის ბაზარი...

— აზიის ბაზარი გაცილებით ნაკლებშემოსავლიანია, მაგრამ, ბუნებრივია, გარკვეული შემოსავალი არის!. ვერ ვიტყვით, რომ საპირწონეა ევროპის, მაგრამ ეს ალტერნატივაა. მეორე მხრივ, გასაგებია, რომ ევროპისთვის სერიოზული სირთულე იქნება უარი თქვას რუსულ გაზზე და ნავთობზე, მაგრამ ფასი უნდა გადაახდევინონ რუსეთს, ისე კრემლის შეჩერება ილუზორულია.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველო და უკრაინა ვერ გაწევრდება NATO-ში. ცენტრალური ევროპის ძირითადი ლიდერი ქვეყნები — გერმანია და საფრანგეთი არც მანამდე არ იყვნენ აღფრთოვანებული ჩვენი ქვენების გაწევრებით NATO-ში, მით უმეტეს დღევანდელი მოვლენების გათვალისწინებით. ანუ, მადრიდის სამიტისგან ბევრს არაფერს ველოდები. გადაწყვეტილების მიღება არ უნდათ. გასაგებია, რომ ერთადერთი ამერიკა აქტიურობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილთან ერთად, მაგრამ უკრაინას საპირწონე შეიარაღებას არ და ვერ აძლევენ, რასაც აძლევენ, ეს საკმარისი არაა. მაგალითისთვის, უკრაინა ამჟამად არ აწარმოებს ტყვია-წამალს, რადგან ტყვია-წამლის საწარმო ლუგანსკში იყო, რომელიც უკვე რუსეთის ხელშია. როგორ შეიძლება ომის პირობებში ქვეყანა ტყვია-წამალს არ აწარმოებდეს! სხვათა შორის, ეს ჩვენც გვეხება!

„ᲣᲩᲔᲛᲝᲓ ᲠᲐᲓ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲗᲐ“...

ᲝᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ �პᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲘᲛ ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲛ, ᲠᲐᲪ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲠᲣᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲨᲘ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ (ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ-ᲐᲪ!), ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲛᲘᲠᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ, ᲓᲐᲭᲠᲔᲡ ᲙᲘ ᲓᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲒᲐᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ ᲓᲐᲗᲕᲡ „ᲛᲢᲔᲠᲘ“ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲮᲐᲮᲐᲨᲘ, ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ!...

ᲕᲔᲠ ᲕᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑ, ᲕᲔᲠ ᲕᲩᲔᲠᲓᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲪᲔᲛᲡ ᲡᲐᲒᲣᲚᲔᲨᲘ. ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲛᲐ ᲛᲢᲠᲔᲑᲛᲐ (ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ — ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲛᲐ!) ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲧᲕᲔᲡ. ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ — ᲠᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ! ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲯᲐᲛᲡ ᲒᲕᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ! ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲕᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ!.

ᲔᲰ, ᲠᲐᲪ ᲘᲧᲝ, ᲘᲧᲝ.. ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲔᲪᲮᲠᲔ ᲓᲦᲔᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲪᲗᲣ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ — ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ. ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐ ᲛᲝᲢᲘᲕᲘᲗ, ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ ᲜᲐᲮᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲔᲚᲐᲜᲓᲐ ᲠᲐᲛᲔ — ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲘᲜᲪᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲡᲜᲔᲚᲘ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ... ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲡ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲜᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲛᲝᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲐ-ᲬᲧᲚᲘᲡ (ᲧᲘᲠᲘᲛᲘ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.) ᲬᲔᲬᲕᲐ-ᲒᲚᲔᲯᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ... ᲓᲘᲐᲮ, ᲮᲝᲛ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲝᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐᲗ? ᲙᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲐᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲝᲛᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲗ ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔ , ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲘᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ , ᲠᲐᲪ ᲛᲝᲮᲓᲐ!

ᲝᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ �პᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲐᲩᲐᲦᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲘᲛ ᲠᲣᲡᲣᲚᲛᲐ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚᲛᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲛ, ᲠᲐᲪ, ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲠᲣᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲨᲘ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓ (ᲕᲘᲢᲧᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲓᲐᲪ!) ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲒᲛᲘᲠᲛᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲗᲕᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ, ᲓᲐᲭᲠᲔᲡ ᲙᲘ ᲓᲐ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲒᲐᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐᲭᲠᲘᲚ ᲓᲐᲗᲕᲡ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲮᲐᲮᲐᲨᲘ, ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ! ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲘᲒᲘᲕᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲛᲝᲠᲩᲘᲚ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡᲠᲘ სანქციები ᲕᲔᲠ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲑ ᲓᲐᲚᲐᲡ. ᲓᲘᲐᲮ, ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ ᲔᲡᲐᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲗᲕᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲖᲔ ᲠᲐᲡ ᲒᲐᲰᲧᲕᲘᲠᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲡᲐᲝᲛᲠᲐᲓ ᲛᲝᲘᲬᲔᲕᲡᲝ. ᲐᲛ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ, ᲨᲔᲛᲐᲙᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ სანქციები ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲐᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲬᲐ-ᲬᲧᲚᲘᲡ (ᲧᲘᲠᲘᲛᲘ, ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.) ᲬᲔᲬᲕᲐ-ᲒᲚᲔᲯᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ... ᲓᲘᲐᲮ, ᲮᲝᲛ ᲡᲯᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲝᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐᲗ? ᲙᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲐᲛ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲓ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚ ᲝᲛᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲡ? ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ, ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲔᲡ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ-ᲔᲑᲘᲐᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲐ, ᲐᲮᲚᲐᲪ „ᲗᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ: ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲕᲣᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲦᲐᲚᲐᲢᲝᲜᲝ. ᲛᲔ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲝ — ᲐᲡᲔ ᲣᲙᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲘᲓᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲝᲠ ᲛᲝᲭᲘᲣᲑᲐᲠ ᲛᲐᲛᲐᲚᲡ ᲫᲐᲚᲔᲚ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲐᲢᲐᲜᲡ ᲞᲘᲠᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲩᲮᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲧᲐᲚᲛᲐᲧᲐᲚᲘ, ᲥᲣᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔᲐ... ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗᲝᲗ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲐ, ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲜᲘᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲪᲥᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲡᲘᲜᲐᲜᲐᲣᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲨᲘᲨᲡᲐᲪ ᲛᲝᲰᲒᲕᲠᲘᲡ. ᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲕᲐᲘ, ᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲥᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ ᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲬᲔᲕᲔᲜ, ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐᲗ! ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲦᲐᲪ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲒᲝᲜᲘ ᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲡ! ᲐᲡᲔᲐ ᲗᲣ ᲘᲡᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲕᲓᲒᲐᲠᲗ. ᲓᲐ ᲐᲛᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲓᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ? ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲓᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲡᲙᲕᲔᲗᲔᲑᲐᲡ? ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ, ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲔᲡ ᲡᲐᲖᲘᲖᲦᲐᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ-ᲔᲑᲘᲐᲜᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲜᲐ, ᲐᲮᲚᲐᲪ „ᲗᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ: ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲕᲣᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲨᲘ ᲛᲧᲝᲤ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ, ᲨᲔᲜ ᲙᲘ ᲦᲐᲚᲐᲢᲝᲜᲝ. ᲛᲔ ᲨᲔᲜᲖᲔ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲝ — ᲐᲡᲔ ᲣᲙᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲗᲣ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲘᲓᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲝᲠ ᲛᲝᲭᲘᲣᲑᲐᲠ ᲛᲐᲛᲐᲚᲡ ᲫᲐᲚᲔᲚ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲐᲢᲐᲜᲡ ᲞᲘᲠᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲩᲮᲣᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲧᲐᲚᲛᲐᲧᲐᲚᲘ, ᲥᲣᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲜᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔᲐ... ᲠᲝᲛ ᲙᲘᲗᲮᲝᲗ, ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲝᲡᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗᲝᲗ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲐ, ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲜᲘᲐ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ — ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ... ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕᲘ ᲛᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲕᲩᲐᲜᲕᲐᲠᲗ ᲜᲔᲢᲐᲕ! ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲘᲡᲔᲗᲘ 2008-ᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲮᲔᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲐᲗᲥᲛᲔᲕᲘᲜᲔᲡ ᲘᲡᲔ ᲩᲐᲒᲕᲘᲒᲓᲔᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ: ᲝᲠᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲬᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲚᲘ. ᲕᲘᲩᲮᲣᲑᲝᲗ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗᲝᲗ, ᲐᲑᲐ, ᲠᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ. ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲘ, ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲩᲔᲛᲝᲗ ᲓᲐ ᲐᲡᲔ „ᲣᲩᲔᲛᲝᲓ ᲠᲐᲓ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲗᲐ“-Ს ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲨᲘ ᲐᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲗᲘᲗᲝᲙᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲤᲚᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!...

ᲒᲣᲚᲜᲐᲠᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐ

— ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ?

— ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲐᲒᲕᲘᲯᲐᲜᲧᲝᲜ. ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ, (ᲐᲥ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲐᲠᲰᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ), ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ Ე.Წ. ᲣᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲛᲘᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ ᲠᲐᲚᲐᲪ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲘᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲰᲩᲔᲕᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ Ა. Ш. ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲤᲣᲭᲭᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ. ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲒᲕᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ. ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲝᲗ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲕᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲠ ᲬᲐᲛᲝᲔᲒᲝ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲡ. ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲗᲮᲝᲕᲝᲗ, ᲗᲘᲗᲥᲝᲛᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ? ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔ ᲠᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ? ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔ ᲠᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ? ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲠᲗᲓᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔ ᲠᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ? ᲠᲝᲒᲝᲠ

ომის მიზეზებს პუტინი შუა საუკუნეებში ეძებს

მოსკოვსა და კიევს შორის კონფლიქტს ისტორიული ფესვები აქვს. მისი არსი არის ის, რომ კრემლი უკრაინის დამოუკიდებლობას არ ცნობს. DEUTSCHE WELLE იხსენებს მთავარ მოვლენებს, რომლებიც რუსეთსა და უკრაინას შორის ომის დაწყებას წინ უძღოდა.

რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბული ურთიერთობისა და 24 თებერვლის დილას გაჩაღებული დიდი ომის დაწყების წინაპირობები ერთ ათეულ წელზე მეტხანს ყალიბდებოდა. რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის არგუმენტები მიდის კიდევ უფრო შორს, შუასაუკუნეებში, როდესაც დღევანდელი უკრაინის ნაწილი და რუსეთი კიევის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. სწორედ აქედან მომდინარეობს კრემლის მეთაურის თეზისი „ერთი ხალხის“ შესახებ, რომელშიც ის ბელარუსებსაც აერთიანებს.

თუმცა ამავდროულად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იშვიათად ახსენებს იმ უტყუარ ფაქტს, რომ რუსებსა და უკრაინელებს განვითარების ერთი და იგივე გზა ყოველთვის არ ჰქონდათ და სწორედ ამის შედეგად ჩამოყალიბდა ორი ენა და ორი კულტურა — ერთმანეთის მონათესავე, მაგრამ — განსხვავებული. როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ორივე რესპუბლიკა ცალკე სახელმწიფოებად იქცა, გაჩნდა კიდევ ერთი სხვაობა — პოლიტიკური. კიევი დასავლური დემოკრატიის გზას გაჰყვა, მოსკოვმა კი მას ზურგი აქცია. ექსპერტების თქმით, მიმდინარე ომი ბოლო 30-წლიანი პოლიტიკის შედეგია. ის პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს და თითოეული მათგანი დაახლოებით 10-წლიან პერიოდს მოიცავს. Deutsche Welle-მ ეს გარდამტები მოვლენები გაიხსენა.

1992-2003: უკრაინა მიდის, რუსეთი იძულებულია, დასთანხმდეს!

1991 წლის დეკემბერში უკრაინა, რუსეთსა და ბელარუსთან ერთად, იყო ერთ-ერთი იმ სამი რესპუბლიკიდან, რომელთაც ბელოვეჟსკაია პუშჩაში სსრკ-ს დაშლა დაამტკიცეს.

როგორც ჩანს, მოსკოვს იმედი ჰქონდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) დახმარებითა და იაფი გაზის მიწოდებით გავლენას შეინარჩუნებდა. თუმცა სხვაგვარად მოხდა. რუსეთმა და ბელარუსმა სამოკავშირეო სახელმწიფოები შექმნეს, უკრაინა კი სულ უფრო მეტად იყურებოდა დასავლეთისკენ. ეს კრემლს აღიზიანებდა, თუმცა სანამ დასავლეთი და უკრაინა ერთმანეთს შორიდან უყურებდნენ, მოსკოვი თავშეკავებული ჩანდა. 1997 წელს შავი ზღვის ფლოტის გაყოფითა და „დიდი ხელშეკრულების“ ხელმოწერით, რუსეთის ფედერაციამ აღიარა უკრაინის საზღვრები ყირიმის ჩათვლით.

2003-2013: როგორ „დაიბზარა“ პოსტსაბჭოთა „მეგობრობა“

პირველი დიდი დიპლომატიური კრიზისი მოსკოვსა და კიევს შორის პრეზიდენტ პუტინის დროს დაიწყო. 2003 წლის შემოდგომაზე, სრულიად მოულოდნელად რუსეთმა ქერჩის სრუტეში, უკრაინულ კუნძულ ტუზლას მიმართულებით კაშხლის მშენებლობა დაიწყო.

კიევმა ეს საზღვრის გადაკეთების მცდელობად ჩათვალა. აღნიშნული უთანხმოება პრეზიდენტების პირადი შეხვედრის შედეგად მოგვარდა. მართალია, მშენებლობა შეჩერდა, მაგრამ ორ ქვეყანას შორის დეკლარირებულ მეგობრობას პირველი ბზარები გაუჩნდა.

2004 წლის უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს პრორუს კანდიდატ ვიქტორ იანუკოვიჩს, მაგრამ „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ მის გამარჯვებას ხელი შეუშალა. უკრაინის პრეზიდენტი პროდასავლელი პოლიტიკოსი ვიქტორ იუშჩენკო გახდა. მისი გამარჯვება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის ცვლილებებისთვის ამოსავალი წერტილი იყო. იუშჩენკოს მმართველობის პერიოდში რუსეთის ფედერაციამ უკრაინას გაზის ონკანი ორჯერ გადაუკეტა — 2006 და 2009 წლებში, რამაც ევროპისთვის ტრანზიტული მიწოდების შეფერხება გამოიწვია.

მთავარი მოვლენა მაინც 2008 წელს მოხდა. ბუქარესტში, ნატოს სამიტზე, აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში შეეცადა, უკრაინასა და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan - MAP), მიეღოთ. პუტინი ამას მკვეთრად შეეწინააღმდეგა, რითაც მოსკოვმა ნათლად აჩვენა, რომ ის უკრაინის დამოუკიდებლობას სრულად არ ცნობს. შედეგად, გერმანიამ და საფრანგეთმა ბუშის გეგმა დაბლოკეს. ორივე პოსტსაბჭოთა ქვეყანას, უკრაინასა და საქართველოს, ნატოში გაწევრიანებას დაჰპირდნენ, მაგრამ თარიღი არ დაკონკრეტებულა.

ვინაიდან ნატოში ოპერატიულად გაწევრიანება ვერ მოხდა, უკრაინამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გზით ეკონომიკური ინტეგრაციის კურსი აიღო. 2013 წლის ზაფხულში, შესაძლო ხელმოწერამდე რამდენიმე თვით ადრე, რუსეთმა უკრაინაზე უდიდესი ეკონომიკური ზეწოლა დაიწყო და უკრაინულ ექსპორტს, ფაქტობრივად, საზღვარი ჩაუკეტა. შემოდგომაზე, იანუკოვიჩის მთავრობამ, რომელიც პრეზიდენტი 2010 წელს გახდა, ბრიუსელთან შეთანხმების ხელმოწერისთვის მზადების შეჩერების შესახებ განაცხადა და მოტივად რუსეთის ფედერაციის ზეწოლა დაასახელა. იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ უკრაინაში პროტესტი გამოიწვია. ამის ფონზე ის 2014 წლის თებერვალში რუსეთში გაიქცა.

2014-2021: ყირიმის ანექსია და ომი დონბასში

2014 წლის მარტში რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა. ეს იყო გარდამტეხი მომენტი — გამოუცხადებელი ომის დასაწყისი. ამავდროულად, რუსულმა და ადგილობრივმა გასამხედროებულმა სტრუქტურებმა დონბასში სეპარატიზმის გაღვივებას შეუწყვეს ხელი. დონეცკსა და ლუგანსკში ე.წ. „სახალხო რესპუბლიკები“ გამოცხადდა.

მათ ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, რომლებიც რუსეთის ფედერაციიდან იყვნენ ჩამოსული და გაურკვეველი წარმომავლობის ფორმები ეცვათ. ამ მოვლენებზე კიევს შენელებული რეაქცია ჰქონდა. აქ მაისის ბოლოს საპრეზიდენტო არჩევნებს დაელოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდა ფართომასშტაბიანი ძალების გამოყენება, რომელსაც „ანტიტერორისტული ოპერაცია“ ეწოდა.

2014 წლის ივნისის დასაწყისში საფრანგეთში, ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადასმის 70 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაზე უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო თავის რუს კოლეგას ვლადიმერ პუტინს გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერების შუამავლობით პირველად შეხვდა. ასე გაჩნდა „ნორმანდიული ფორმატი“. ზაფხულში უკრაინის არმიამ სეპარატისტები აიძულა, უკან დაეხიათ, მაგრამ აგვისტოს ბოლოს, რუსეთმა დონბასში მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა შეიყვანა. მოსკოვი ამ ფაქტს უარყოფს. უკრაინული ძალები ილოვაისკის მახლობლად დამარცხდნენ, რაც კონფლიქტის პიკი გახდა. სექტემბერში ომი მთელ ფრონტის ხაზზე დასრულდა მინსკში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით, რომელიც სწრაფადვე დაირღვა.

სწორედ მაშინ დაიწყო პოზიციური ომი. 2015 წლის დასაწყისში სეპარატისტები ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავიდნენ. კიევმა კვლავ დაადანაშაულა მოსკოვი საიდენტიფიკაციო ნიშნების არმქონე არმიის გამოყენებაში, რუსეთის ფედერაციამ კი ისევ ყველაფერი უარყო. ამ დროს გერმანიისა და საფრანგეთის შუამავლობით გაფორმდა „მინსკი-2“- შეთანხმება, რომელიც კონფლიქტის მოგვარების მთავარ დოკუმენტად დღემდე რჩება. თუმცა მისი არცერთი პუნქტი სრულად შესრულებული არ არის, რაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ.

ერთი შეხედვით, თითქოს 2019 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აღნიშნულ კონფლიქტში გარღვევა მოხდა. მხარეები შეთანხმდნენ და რამდენიმე რაიონიდან სამხედრო ძალები გაიყვანეს. თუმცა პარიზში გამართული „ნორმანდიული ფორმატის“ სამიტის შემდეგ შეხვედრები აღარ ყოფილა. რუსეთი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან პირდაპირ კომუნიკაციაზე უარს ამბობს და მას „მინსკი-2“-ის შეთანხმების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. დეკემბერში კი პრეზიდენტმა პუტინმა პირველად წაუყენა პირდაპირი ულტიმატუმი აშშ-სა და ნატოს, რომ უკრაინა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ალიანსში არ მიეღოთ და მათთვის სამხედრო დახმარება არ გაეწიათ, რაზეც ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უარი განაცხადა.

2022 წელი: რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ომი დაიწყო

2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სეპარატისტული „დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა“ და „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა აღიარა. შესაბამის დოკუმენტებს რატიფიკაცია ქვეყნის პარლამენტმა მისცა.

პუტინმა ასევე განაცხადა, რომ ეს ე.წ. „რესპუბლიკები“ მოიცავს უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ტერა ლუგანსკის ოლქების ტერიტორიებს, რაც ბევრად მეტია, ვიდრე სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი რეგიონი.

24 თებერვალს, გამთენიისას, რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა უკრაინის წინააღმდეგ „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ დაწყების შესახებ განაცხადა. პუტინმა თავის მიზნად ქვეყნის „დემილიტარიზაცია“ დაასახელა. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა იერიში მიიტანეს უკრაინის ქალაქებსა და მის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე... 4 მარტს რუსეთსა და უკრაინას შორის ფართომასშტაბიანი ომის მეცხრე დღეა!

„რუსეთი დგას ბირთვულ რეაქტორთან ტანკებით, უკრაინამ რომ მოინდომოს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის დაბრუნება, საფრთხე მთელ რეგიონს დაემუქრება“

ოკუპანტები უკრაინაში ატომურ ობიექტებზე ნადირობენ!

პუტინის ხელში ბირთვული იარაღის გამოყენების საშიშროებაზე ლაპარაკობს მთელი მსოფლიო და ამ დროს რუსულმა ძალებმა კიდევ მეორე სახიფათო ობიექტი — ჩერნობილი ჩაიგდეს ხელში, მძევლად აყვანილი ატომური სადგურის პერსონალითურთ. თეთრი სახლი რუსი ჯარისკაცების ამ ქმედებით აღშფოთებულია. თუმცა მათ აღშფოთებას არად დაგიდევენ ოკუპანტები და კიევში რადიოაქტიური ობიექტის დაბომბვაზეც არ ამბობენ უარს. კიევში რუსული რაკეტები რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ობიექტს მოხვდა. რუსებმა თავდასხმისას თითქმის ყველა ტიპის საზენიტო და სარაკეტო იარაღი გამოიყენეს.

როგორ აღმოჩნდა 2008 წელს სტრატეგიული ობიექტები რუსეთის მმართველობაში

უკრაინის ეროვნული პოლიციის ენაწაგდებული ყოფილი „ლიდერი“, დღეს ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი ნაცი ხატია დეკანოიძე ამბობს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრად რუსეთის გავლენის აგენტი გვყავს. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის განცხადებით, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიო უკრაინელი ხალხისთავგანწირვისადმი სოლიდარულია, **ირაკლი ღარიბაშვილი** ღიად რუსულ პროპაგანდას ატარებს.

ცრუპენტელა დეკანოიძეს გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – 2008 წლის 10 აგვისტოს, დილის 5 საათზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ენგურჰესის“ გასხვისების თაობაზე რუსეთთან კაპიტულაციის პირობების მძონე მემორანდუმი გააფორმა, რომლის შინაარსი დღემდე უცნობია, უცნობია თვით პოლიციელ ხატიასთვისაც!..

გარდა ამისა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წელს სტრატეგიული ობიექტების სიიდან ამოიღო გაზსადენი იმ მიზნით, რომ შემდეგ უპრობლემოდ გაესხვისებინათ რუსული კომპანიისთვის. სწორედ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩააბარა რუსეთს „თელასი“ რომელიც თავდაპირველად ამერიკული კომპანიის მმართველობის ქვეშ იყო. აღსანიშნავია, რომ საომარი რიტორიკის კვალდაკვალ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ წარმატებით ხდებოდა რუსული კომპანიებისთვის ენერგეტიკული კომპანიების თუ სხვა ობიექტების გადაცემა.

„ნაციონალური მოძრაობის“ კარგა ხნის წინ ჩასვენებული „ვარსკვლავის“ **ლევან ბეჟაშვილის** განცხადებით, პრემიერ-მინისტრი რუსულ ნარატივს აგრძელებს 2008 წლის ომთან დაკავშირებით. მისივე თქმით, პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო გარკვეული სანქციები განეხილა, მათ შორის ცის დაკეტვა. ოპოზიციის ბრალდებას უპასუხა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც განმარტა, თუ რატომ არ უნდა შეუერთდეს საქართველო რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, აგვისტოს ომის შემდეგ სააკაშვილის მთავრობა გამუდმებითა და დაჟინებით ეძებდა გზებს რუსეთთან ვაჭრობის აღსადგენად და რუსეთის ბაზრის გასახსნელად.

„სააკაშვილმა ომის შემდეგ რამდენიმე ხანში თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსულ სახელმწიფო კომპანიებს მიყიდა. ამას გარდა, ვინაიდან რუსეთის ბაზრის გახსნას ვერ მიაღწიეს, სააკაშვილმა გამოსცა ბრძანებულება 2012 წელს და ცალმხრივად გაუხსნა რუსეთის მოქალაქეებს უვიზო რეჟიმი მაშინ, როცა აქ გამძვინვარებული მათი ანტირუსული რიტორიკა იყო. ამის შემდეგ იმისთვის, რომ მიეღწია რუსეთის ბაზრის გახსნას, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას ხელი მოაწერა“.

ეს პროცესი იყო გაჭიანურებული, 19 წელი დასჭირდა რუსეთს ამ სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. ამ ყველაფერს ვითომ პატრიოტი სააკაშვილის ხელისუფლებამ ხაზი გადაუსვა და ჩუმად, მალულად ხელი მოაწერა.

ჩვენ მიერ წარმოებული გონივრული და ეროვნული პატრიოტული პოლიტიკის შედეგად, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო, მივაღწიეთ ყველაფერს, ევროპასთან

ასოცირების შეთანხმებას, უვიზო რეჟიმს, თავისუფალ ვაჭრობას და სხვა უამრავ პროგრესს. ამის პარალელურად მივაღწიეთ რუსეთის ბაზრის გახსნას.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, უკრაინაში შეჭრა და იქ სამხედრო მოქმედებების წარმოება მიუღებელია და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. მისივე თქმით, ხელისუფლება, შესაძლებლობების ფარგლებში აკეთებს იმისათვის, რომ გამოხატოს მაქსიმალური მხარდაჭერა, ეს იქნება პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ადამიანური თუ სხვა, უკრაინელი ძმების და დების მიმართ.

პრემიერის შეფასებით, სამწუხაროა, რომ რადიკალურ ოპოზიციას უხარია უკრაინაში ომი და ყველა უბედურებაში საკუთარ ინტერესს ეძებენ. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას კარგად აქვს გააზრებული ის საფრთხე და რისკები, რომელიც დღეს მთელი ევროპის უსაფრთხოების სისტემის მიმართ არსებობს.

პრემიერის გადაწყვეტილებას სახელწიფოებრივი ინტერესებით ხსნის პოლიტოლოგი **ირაკლი გოგავა,** რომლის განცხადებით, საქართველოს 2008 წლიდან დღემდე ძალაში აქვს ყველაზე მწვავე სანქცია – დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა რუსეთის ფედერაციასთან.

„დავინტერესდი რა სანქციები შეიძლება შემოიღოს საქართველომ, რომ სოლიდარობა გამოვუცხადოთ ამ პროცესს. გავაკეთე ანალიზი და აღმოჩნდა, რომ 2008 წლის შემდეგ საქართველო ოკუპაციის ქვეშ არის და ჩვენი შესაძლებლობები და არსენალი სანქციების მხრივ არ გვაქვს მოქმედებაში. ეს, რა თქმა უნდა, წინა ხელისუფლების „დამსახურებაა“. თბილისიდან 45 კილომეტრში დგას უახლოესი რუსული შენაერთი, ახალგორის რეგიონში. ამ ვითარებაში, როცა ოკუპირებული ხარ, ძალიან რთულია ილაპარაკო ხისტ ნაბიჯებზე.

რუსეთისგან ხორბლის შესყიდვაზე უარის თქმა საქართველოს მოსახლეობას დააზარალებს, ლარსის ჩაკეტვა სომხეთისთვის ემბარგოს გამოცხადება იქნება, ავიამიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის კი ისედაც შეწყვეტილია. რუსული კომპანიებისთვის ბოიკოტის გამოცხადების შემთხვევაში კი მინიმუმ მილიონიან ქალაქში – თბილისში შუქი უნდა ჩავაქროთ“, – აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ბოიკოტი, დესტაბილიზაცია და ქუჩაში ყოფნა აწყობს რუსეთს, მათ შორის არსებული ხელისუფლების დისკრედიტაციაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხაზგასმულია ის, როგორ გმირულად იბრძვიან უკრაინელები, სახელისუფლებო ბირთვი რჩება კიევში, მისი თქმით, არანაკლები თავგანწირვით იბრძოლეს ქართველმა ჯარისკაცებმა 2008 წელს, რომლებიც ბრძოლის ველზე მიატოვა ხელისუფლებამ.

„ნ-დღიანი კი არა, გაცილებით ხანგრძლივი ომი იქნებოდა, პოლიტიკური ხელმძღვანელობა რომ არ წამოსულიყო სახლში! ფაქტობრივად, უკან დაიხია პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და არა ჯარმა. 2008 წელს კი ომი ნ დღეში დამთავრდა – რატომ? იმიტომ რომ ხელმძღვანელობა წამოვიდა! რატომ წამოვიდა? რატომ არ იბრძოლა ბოლომდე მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც დღეს ოპოზიციიდან გვესაუბრება? ეს ის ოპოზიციაა, რომელმაც 2008 წლის ომიდან ძალიან მალე სტრატეგიული ობიექტები ზარ-ზეიმით გადასცა რუსეთს. ეს ის ოპოზიციაა, რომლის სტრუქტურაში იყო კახა ბენდუძიძე, რომელიც ძალიან ახლოს იყო რუსეთის სახელისუფლებო წრეებთან. ამავე დროს, ამავე ოპოზიციის კულტურის მინისტრი და მერე საგარეო საქმეთა მინისტრი იყო რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძე, რომელიც შემდეგ იყო ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი. ამ პარტიას მისი ბიოგრაფია არ აწუხებდა?!

რაც მთავარია, დღეს პარტიის აღმასრულებელი მდივანი არის რუსეთის მოქალაქე – კობა ნაჟოფია, რატომ არ ეკითხებიან თავიანთ აღმასრულებელ მდივანს, რას აკეთებს რუსეთი უკრაინაში? რატომ არ აკეთებინებენ შეფასებას ამ მოვლენებზე? იგივე სააკაშვილი – რომელმაც სამხედრო ვალი სასაზღვრო ჯარში მსახურობით მოიხადა; ამავე დროს არის თემურ ალასანია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული მიშას კარიერის შექმნაში და, რომელიც მინისტრთა კაბინეტის სხდომებს ესწრებოდა. ასეთი ფიგურები გყავდეს და ამავე დროს პრემიერზე იძახდე რუსეთის საქმეს აკეთებსო, ღიმილის მომგვრელია“, – აღნიშნა **რამაზ საყვარელიძემ.**

„ესენი დიდი ხნის წინ უნდა გასამართლებულიყვნენ სამშობლოს ღალატისთვის, მაგრამ სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ ციხეში ისხდნენ, სხვებს ეძახიან მოღალატეებს. ყველაფერი, რაც უნდოდა და სურდა რუსეთს 2008 წელს, შეუსრულეს. ამის შემდეგ წავიდნენ ევროსაბჭოში და თვითონვე მოაწერეს ხელი რეზოლუციას, რომ ჩვენ დავიწყეთ ომიო“, – აცხადებს ანალიტიკოსის **სოსო მანჯავიძე,** რომლის შეფასებით, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედების ფონზე, „ნაცმოძრაობაში“ გაუჩნდათ იმის მოლოდინი, რომ კვლავ მოიპოვებენ საერთაშორისო მხარდაჭერას გარკვეული წრეების მხრიდან და დაბრუნდებიან ხელისუფლებაში.

„ასეთ შემთხვევაში ყველა შეკვეთას შეასრულებენ, ვინაიდან არიან გამყიდველები. რაც შეეხება სანქციებს, საქართველო რომ შეუერთეს ამ სანქციებს და შეწყდეს ურთიერთობები, დავზარალდებით ჩვენ და ისე დავზარალდებით, რომ ძალიან მოკლე ხანში აქ შეუქცევადი პროცესები დაიწყება, რაც არის კიდევაც ამ ავანტიურისტების მიზანი. დღეს მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაპირისპირება და ჩვენი თავხედობით და მეტიჩრობით, შეგნებულად თავს თუ არ გავიტეხავთ, ძალიან კარგი იქნება. აქ ახლა ლაპარაკია ჩვენი ერის გადარჩენაზე და, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ, ჩვენი პარამეტრები არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ავანტიურებში გავეხვიოთ. აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრის განცხადება იყო სახელმწიფოებრივი, ფრთხილი მიდგომა. სხვათა შორის ჩემმა უკრაინელმა მეგობრებმა დამირეკეს, მათ შორის ამერიკიდან და მოიწონეს ღარიბაშვილის განცხადება. მითხრეს, რომ ძალიან ზომიერი პოზიცია დაიფიქსირა ღარიბაშვილმა. ის ამბობს, რომ ჰუმანიტარული აქცია იყო ძალიან სწორი და მნიშვნელოვანი. აი, ასეთი ნორმალური მიდგომა აქვთ თავად ნორმალურ უკრაინელებს, ვიდრე ჩვენ!“, – აცხადებს For.ge-სთან საუბრისას **სოსო მანჯავიძე.**

აღსანიშნავია, რომ ოკუპანტები უკრაინაში განსაკუთრებულად ნადირობენ ატომურ ობიექტებზე, თითქოს ეს ობიექტები უკრაინელების ხელში საფრთხის შემცველია. სინამდვილეში, საყურადღებოა ერთი ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე უკრაინის ტერიტორიაზე დიდი ატომური არსენალი დარჩა, ამ იარაღზე კი 90-იან წლებში უკრაინელებმა უარი თქვეს. უკრაინაში ომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა **დმიტრო კულებამ** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ უკრაინა ბირთვული იარაღის შექმნას არ აპირებს. კულებას თქმით, უკრაინამ ისტორიული წვლილი შეიტანა გლობალურ უსაფრთხოებაში. 1994 წელს უკრაინა დაეთანხმა ბირთვულ განიარაღებას და უარი თქვა მსოფლიოში სიდიდით მესამე ბირთვულ არსენალზე.

„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები“ თავმჯდომარე **ნინო ჩხობაძე** რადიოაქტიურ ობიექტებთან ოკუპანტების თარეშს დაუშვებლად მიიჩნევს. For.ge-სთან საუბრისას ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ ჩერნობილის ხელში ჩაგდება რუსების მხრიდან ძალიან სერიოზული საფრთხეა, ვინაიდან ეს არის საშიში ობიექტი და, როცა იქ შესულები არიან სამხედროები, მით უფრო საშიში ხდება. არ გვაქვს იმის გარანტია, რომ რამე არ მოხდება ჩერნობილში. ამ ატომური სადგურის ხელში ჩაგდება საფრთხეს უქმნის ბელორუსს, რუსეთს, ევროპას. ნინო ჩხობაძის თქმით, ბოლო ინფორმაციით, ექსპერტები, სპეციალისტები როგორც უკრაინის, ისე რუსეთის მხრიდან შეთანხმდნენ, რომ მათი დაკვირვების ქვეშ იქნება ეს დაკონსერვებული ატომური სადგურები.

მანვე განმარტა, რომ არ ფლობს ინფორმაციას, რა მდგომარეობაში არიან რუსების მიერ აყვანილი მძევლები, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის პერსონალი, მეცნიერები. ამიტომ ნინო ჩხობაძე მოლოდინის რეჟიმშია, იქნებ, ვინმემ ინფორმაცია მიაწოდოს უკრაინიდან, მაგრამ თვით უკრაინელებსაც არ აქვთ სრული ინფორმაცია. ამიტომ ერთადერთ იმედად რჩება, რომ ატომური სააგენტო უკვე ჩართულია ამ პროცესში, რადგან ეს მათი კომპეტენციის ნაწილია, ჩერნობილი ატომური სააგენტოს მონიტორინგის ქვეშ იყო, ამიტომ, სავარაუდოდ, ამ ობიექტს უყურებენ და მონიტორინგს ახორციელებენ ატომური სააგენტოდან.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** იხსენებს, რომ თავის დროზე იყო განცხადებები ჯერ ბუქარესტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, როცა ბირთვული იარაღი ჩააბარებინეს უკრაინას უსაფრთხოების გარანტიებით და დღეს ამბობენ, ჩვენ ასეთი გარანტიები არ გაგვიციაო. იყო, ასევე, განცხადება, თითქოს განცხადებული იყო, რომ უკრაინა შექმნიდა ბირთვულ იარაღს. ფაქტობრივად, რუსეთი ჩერნობილის კონტროლზე აყვანას ამართლებს იმით, რომ მომავალში არ მოხდეს თითქოს ე.წ. ჭუჭყიანი ბირთვული იარაღის შექმნა, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის ძალიან სახიფათო ქმედება რუსეთის მხრიდან.

ამირან სალუქვაძის თქმით, ჩერნობილში დახურული ობიექტია, იქ სარდაფში მოაქციეს ყველაფერი, დააბეტონეს და დახურეს. ამდენად, ვინ მოინდომებს იქ შესვლას, მასალების გატანას და იარაღის გაკეთებას? ეს სისულელეა. მაგრამ, თუკი ოკუპანტებმა მოქმედი ატომური ობიექტი აიღეს, მაშინ ამ ქმედებით ქმნიან საფრთხეს, რადგან უკრაინამ თავის ტერიტორიაზე დაკავებული ობიექტი ბრძოლით უნდა დაიბრუნოს. ჯერჯერობით ამას არ აკეთებს უკრაინა, რომ საფრთხე არ შეიქმნას.

მანანა ნოზაძე

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲚᲐᲛᲘᲡ, ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲔᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲔᲤᲣᲭᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ. ᲕᲐ-ᲑᲐᲜᲙᲖᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠ, ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ, ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲫᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲘᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ

(ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ)

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დავალებით, უკრაინაში გაიგზავნა 100 ტონა ჰუმანიტარული ტვირთი. ასევე, საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს გაეწიათ დახმარება. ისინი უზრუნველყოფილი არიან როგორც საცხოვრებლით, ასევე უზრუნველყოფილია მათი გადააგილების ხარჯები.

ეს არის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე შეუძლია საქართველოს, რომლის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ და რუსეთთან საომარ ვითრებაში იმყოფება. პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, მოხალისეების გაგზავნა უკრაინაში ქვეყნის მიერ, სამხედრო კონფლიქტში პირდაპირ ჩართვას ნიშნავს, რასაც საქართველო არ გააკეთებს. მისი თქმით, ქვეყნის მიერ ამის ორგანიზება ნიშნავს სამხედრო კონფლიქტში სამხედრო ძალის გაგზავნას.

„რაც შეეხება ქვეყნის ჩართვას სამხედრო კონფლიქტში, არც აშშ, არც ევროკავშირის ქვეყნები ამას არ აკეთებენ, ომში არც ერთია ჩართული, პირდაპირ თქვეს, რომ ამერიკელი და ევროპელი სამხედროები არ იქნებიან ომში. აქ საუბარია სამხედრო ძალის გაგზავნაზე, ეს ყველაფერი ადასტურებს ერთადერთ რამეს, ერთადერთი მიზანი, რაც აქვს ანტისახელმწიფოებრივ ძალას, რასაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი დანამატებით, არის ის, რომ საქართველო როგორმე ჩართონ ომში. საუბარი იყო სამხედრო კონფლიქტში სამხედრო ძალის გაგზავნაზე. მოხალისეები არ არიან სამხედრო ძალა? ზელენსკიმ სთხოვა დასავლეთს, რომ ჩართულიყვნენ სამხედრო კონფლიქტში, გვახსოვს არაერთი საყვედურიც, მაგრამ არ ჩაერთო დასავლეთი“, - განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პარლამენტის ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ ზელენსკის არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და მისი მიმართვის მომზადებაში ის ხალხი მონაწილეობდა, ვინც დღემდე „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს.

„ათასობით ჩვენი მოქალაქე სისხლს აბარებს. ათასობით ტვირთი უკრაინაში იგზავნება. ათასობით ადამიანი უკრაინის გვერდით დგას და პოლიტიკური განსხვავებების მიუხედავად, პოზიციას გამოხატავს. უშველებელი რაოდენობაა საერთაშორისო დონეზე გაკეთებული განცხადებებისა, რასაც საქართველო არათუ შეუერთდა, ინიციატორიც იყო.

მოხალისეთა წასვლის ორგანიზება სახელმწიფოს მხრიდან საომარ მოქმედებებში არაპირდაპირ ჩართვას ნიშნავს. რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, ეკონომიკური დაზიანებისა თუ სამხედრო აგრესიის რესურსი რუსეთს გააჩნია. მით უფრო იმ პირობებში, როცა წინამორბედმა ხელისუფლებამ მათ ყველა სტრატეგიული ობიექტი გადასცა. გადაწყვეტილება, რაც საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო, რუსეთის აგრესიის თავიდან არიდებით არის ნაკარნახევი“, — აცხადებს **გია ვოლსკი.**

მაშ ასე, რუსეთთან ომის პირისპირ მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა მხოლოდ საქართველოდან გაიწვია ელჩი, ესეც იმიტომ, რომ მისივე ქართველი მრჩევლებისა და ქართული ოპოზიციის მცდელობის მიუხედავად საქართველო არ ჩაერთო ომში.

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, როდესაც 2014 წელს რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა, უკრაინას აზრად არ მოსვლია რუსეთიდან ელჩის გამოწვევა, მათ შორის არც ბელარუსიდან, რომელიც რუსეთთან ერთად პირდაპირ არის ჩართული რუსეთ-უკრაინის ომში.

„აზერბაიჯანის პრეზიდენტი დონბასის ე.წ. დამოუკიდებლობის ცნობის დღეს ჩაფრინდა მოსკოვში და პუტინთან სამოკავშირეო დეკლარაციას მოაწერა ხელი, ეს ფაქტი კიევის კრიტიკის მიღმა რჩება. მოლდოვა, რომელმაც არათუ არ დაიჭირა უკრაინის მხარე ამ კონფლიქტში, ხისტად უარი განაცხადა სანქციების მიერთებაზე. ნეიტრალიტეტი აირჩია, მაგრამ ელჩი კვლავ კიშინოვშია. აქედან გამომდინარე, საქართველოდან ელჩის გაწვევა არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი, რა მიზეზითაც უკრაინის პრეზიდენტმა მიზანმიმართულად არნახული არადიპლომატიური, არაკაცური შეურაცხყოფა მიაყენა თავის ქართველ კოლეგას, ირაკლი ღარიბაშვილს.

ᲓᲐᲕᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ — ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲔᲡᲘᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲛᲐᲒ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲘᲕᲡᲝ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲖᲔᲚᲔᲜᲡᲙᲘᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲛᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲩᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲗ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ“...

როგორც ანალიტიკოსი განმარტავს, ეს არის მიზანმიმართული, დაგეგმილი ოპერაცია, რომლის მიზანი იყო და რჩება საქართველოში შექმნან იმ სახის დესტაბილიზაცია, რომელიც საშუალებას მისცემს რუსეთის ფედერაციას საქართველოს მიმართულებით გახსნას მეორე ფრონტი, რაც ქვეყანაში არსებულ მენ კოლონას მისცემს მშვენიერ შესაძლებლობას მიაღწიონ სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლების შეცვლას.

„მათი მიზანია საქართველოს ინტერესებზე ორიენტირებული ხელისუფლება ჩაანაცვლონ, აი, ამ ფსევდოლიბერალური, მახინჯი, ანტიქართული პარტიული წარმონაქმნებით. ეს არის ფაქტი. მიხარია, რომ ერთუჯრედიანების მიერ დაგეგმილ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე. ოპტიმიზმს მმატებს ის, რომ ქართული საზოგადოება ამ ერთუჯრედიანებს არ მისცემს საკუთარი მიზნების განხორციელების საშუალებას.

2021 წელს ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა გამონათება, როდესაც უკრაინასთან არსებული ჩიხი გაარღვია, პირველ პირებს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ როგორც კი დასჭირდათ ამ ურთიერთობაში ბზარის შეტანა, კიევში მყოფ ამ მარიონეტებს დაევალათ ამ ურთიერთობის დაძაბვა.

უკრაინის თავზე ლამის, აპოკალიფსის ოთხი მხედარია შემოსული და ამ დროს უკრაინის ხელიუფლებაში მოიცალეს იმისთვის, რომ საბოლოოდ გაეფუჭებინათ საქართველოსთან ურთიერთობები. ვა-ბანკზე წავიდა უკრაინის მარიონეტული ხელისუფლება და თავის მეგობარ, მოკავშირე, ერთგულ ძმასთან საბოლოოდ გააფუჭა ურთიერთობა“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **დავით ქართველიშვილმა.**

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი **თამარ კიკნაძე** ამბობს, რომ ამ ვითრებაში უკრაინის მხრიდან ელჩის გაწვევა არასწორი ნაბიჯია, მით უფრო, როცა საქართველო აგზავნის ჰუმანიტარულ დახმარებას. ამ პროცესში საქართველო მაგალითს იღებს ევროპული ქვეყნებისგან.

„ზელენსკი სასოწარკვეთილია. ვნახეთ, პირდაპირ ეთერში როგორ დაწერა ევროკავშირში მიღების შესახებ განცხადება. ჩაერთო ევროპის საბჭოს სხდომაში, ტაშით კი შეხვდნენ და დაემშვიდობნენ, მაგრამ რეალური ქმედებები, რომელიც რუსეთს შეაჩერებს, არსაიდან არ ჩანს. ამიტომ, ხომ შეიძლება საქართველომ იმოქმედოს თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე?! არც მოლდოვა არ შეუერთდა სანქციებს, მეტიც თურქეთს არც საჰაერო მიმოსვლა არ შეუჩერებია რუსეთთან. ამ გადაზიდვების და გადაფრენების ჰაბად იქცა. ამიტომ, საქართველო იქცევა ძალიან კარგად, ჭკვიანურად გამომდინარე თავისი ინტერესებიდან.

ნახეთ რა განცხადებებს აკეთებენ დასავლელი ლიდერები, მათ არ სურთ რუსეთთან დაპირისპირება და არც ჩვენ არ გვსურს. ის ზომები, რაც ახლა მიიღება რუსეთთან საბრძოლველად, სულაც არაა საკმარისი და შედეგიც გასაგებია. ჩვენ რატომ უნდა ჩავებათ? ისედაც დაზარალებული ვართ 2008 წლის ომის შემდეგ“, — აღნიშნა თამარ კიკნაძემ.

მოამზადა
ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐᲛ

ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘ:

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲨᲘ...

„ᲩᲕᲔᲜᲡ მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ უკრაინელების მხარდაჭერას უზრუნველვყოფთ მათ ბრძოლაში თავისუფლებისთვის სამხედრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული დახმარების სახით. პირდაპირი დახმარების სახით, ჩვენ გამოვყოფთ მილიარდ დოლარზე მეტს უკრაინისთვის და გავაგრძელებთ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას თავიანთი ქვეყნის დაცვაში და მათი ტანჯვის შემსუბუქებაში. თუმცა, ნება მიბოძეთ, მკაფიოდ აღვნიშნო, ჩვენი ძალები არ არიან ჩართული და არ ჩაერთვებიან კონფლიქტში რუსეთის ძალებთან უკრაინაში. ჩვენი ძალები არ მიდიან ევროპაში უკრაინაში საბრძოლველად, არამედ მიდიან ჩვენი ნატოს მოკავშირეების დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ პუტინი გადაწყვეტს, დასავლეთით სვლა განაგრძოს. ამ მიზნისთვის ჩვენ მობილიზებული გვყავს ამერიკის სახმელეთო ძალები, ავიაცია, ხომალდები, რათა დავიცვათ ნატო-ს მოკავშირეები, მათ შორის პოლონეთი, რუმინეთი, ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი. როგორც მე მკაფიოდ აღვნიშნე, აშშ და ჩვენი მოკავშირეები მთელი ჩვენი კოლექტიური ძალით დაიცავენ ტერიტორიის თითოეულ სანტიმეტრს, რომელიც არის ნატოს ტერიტორია“,** — განაცხადა ბაიდენმა.

ამასთან ერთად მან აღნიშნა, რომ აშშ რუსული თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცეს ხურავს.

„ვუერთდებით ჩვენს ევროპელ მოკავშირეებს ყველა რუსული რეისისთვის ამერიკული საჰაერო სივრცის დახურვით, რათა გავაძლიეროთ რუსეთის იზოლაცია და დამატებითი დარტყმა მივაყენოთ მათ ეკონომიკას“, — განაცხადა ბაიდენმა.

მისი თქმით, პუტინი ახლა იზოლირებულია მსოფლიოსგან ისე, როგორც არასდროს.

„ჩვენ ფართოდ და სიფრთხილით მოვემზადეთ, თვეების განმავლობაში ვაყალიბებდით კოალიციას თავისუფლების მოყვარული ქვეყნებისგან ევროპასა და ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში პუტინისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ბევრი თქვენგანის მსგავსად, მე უამრავი საათი გავატარე ჩვენი ევროპელი მოკავშირეების გაერთიანებაში. ჩვენ გავუზიარეთ მსოფლიოს წინაწარ ის, რაც ვიცოდით პუტინის გეგმების შესახებ, კერძოდ კი ის, თუ როგორ შეეცდებოდა ის თავისი აგრესიის გაყალბებასა და გამართლებას. ჩვენ რუსეთის ტყუილს სიმართლე დავუპირისპირეთ და ახლა თავისუფალი მსოფლიო მას პასუხს აგებინებს.

ევროკავშირის 27 წევრთან ერთად, ასევე დიდ ბრიტანეთთან, კანადასთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასთან, ასევე შვეიცარიასთან ერთადაც კი, ჩვენ ტკივილს ვაყენებთ რუსეთს და მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს. პუტინი ახლა იზოლირებულია მსოფლიოსგან ისე, როგორც არასდროს. ჩვენს პარტნიორებთან და მოკავშირეებთან ერთად ჩვენ ვაწესებთ ძლიერ ეკონომიკურ სანქციებს“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. მისივე თქმით, რუსეთის ეკონომიკა ირყევა და ამაში დამნაშავე მხოლოდ ვლადიმერ პუტინია.

„ჩვენ რუსეთის უმსხვილეს ბანკებს ვბლოკავთ საერთაშორისო საფინანსო სისტემიდან, არ ვუტოვებთ რუსეთის ცენტრალურ ბანკს საშუალებას, დაიცვას რუსული რუბლი. პუტინის 630-მილიარდიან საომარ ფონდს უსარგებლოდ ვაქცევთ. ჩვენ ვბლოკავთ რუსეთის წვდომას ტექნოლოგიებზე, რაც შეამცირებს ეკონომიკურ სიძლიერეს და შეასუსტებს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს მომავალ წლებში. მე ვეუბნები რუს ოლიგარქებსა და კორუმპირებულ ლიდერებს, რომლებმაც მილიონობით დოლარი იშოვეს ამ ძალადობრივი რეჟიმით, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი არ დატოვებს რეაგირების გარეშე რუსი ოლიგარქების დანაშაულებს, ევროპელ მოკავშირეებთან ერთად ჩვენ ვიპოვით და დავაყადაღებთ მათ იახტებს, ძვირადღირებულ ბინებს და კერძო თვითმფრინავებს.“ მას წარმოდგენა არ აქვს, რა ელოდება. რუბლი უკვე გაუფასურდა 30%-ით. რუსეთის საფონდო ბირჟა 40 პროცენტით შემცირდა და ვაჭრობა შეჩერებულია. რუსეთის ეკონომიკა ირყევა და ამაში დამნაშავე მხოლოდ პუტინია“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა. ექვსი დღის წინ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა იფიქრა, რომ შეარყევდა თავისუფალი მსოფლიოს საფუძველს, ფიქრობდა, რომ თავისი მუქარის გზით დააჩოქებდა, თუმცა ის ძლიერად შეცდა.

„ამის ნაცვლად, მას დახვდა სიძლიერის კედელი, რომელსაც ვერასდროს იფიქრებდა ან წარმოიდგენდა, მას დახვდა უკრაინელი ხალხი. პრეზიდენტი ზელენსკი და თითოეული უკრაინელი, მათი უშიშროება, სიმამაცე და სიმტკიცე შთააგონებს მსოფლიოს. მოქალაქეების ჯგუფები ბლოკავენ აჩერებენ საკუთარი სხეულით, ყველა — დაწყებული სტუდენტებით, დამთავრებული პენსიონერებით და მასწავლებლებით, გახდნენ ჯარისკაცები და იცავენ საკუთარ სამშობლო“, — განაცხადა ბაიდენმა. მისივე თქმით, როდესაც დიქტატორები არ იხდიან საფასურს თავიანთი აგრესიისთვის, ისინი უფრო მეტ ქაოსს ქმნიან.

„პუტინის ომი იყო წინასწარ განზრახული და არაპროვოცირებული. მან უარი თქვა დიპლომატიურ ძალისხმევაზე. ის ფიქრობდა, რომ დასავლეთი და ნატო არ უპასუხებდნენ და ის შეძლებდა ჩვენს დაყოფას აქ ამ პალატაში, ამ ქვეყანაში და ასევე, ევროპაში. პუტინი ცდებოდა. ჩვენ მზად ვიყავით. ჩვენ ერთიანი ვართ და ჩვენ ერთიანი დავრჩით“, — განაცხადა ბაიდენმა.

ᲮᲔᲚᲘᲮᲔᲚᲡᲐᲒᲝᲒᲛᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ 40 ᲓᲦᲔ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ!

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲗᲣ ᲒᲐᲜᲕᲡᲐᲗᲘᲗ:

თამაზ ნატროშვილი ქართველ ტომას კარლაილად წარმოგვიდგება, როგორც შემოქმედი ისტორიული ესეებისა.

და ქართველ ჩარლზ დიკენსადაც, როგორც ისტორიული ნოველების შემოქმედი („ინგლისის საყმაწვილო ისტორიის“ ცალკეული თავები განა ნოველებივითაც არ არის შეკრული?).



მას უნდა დაემკვიდრებინა ისტორიული ესეისტიკა ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ სინამდვილეში.

ისტორიული ნოველებით კი გაეგრძელებინა იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ორბელიანის ძვირფასი ტრადიცია.

ეს კი ნიშნავდა:

სტილურ სინატიფესა და დახვეწილობას, თხრობის მომხიბვლელობასა და იდუმალ ჯადოს, ყველა თაობის მკითხველისთვის გულშიჩამწდომი რომ ხდებოდა და თვალსაწიერსაც უფართოებდა, რადგანაც ეს დიდებული ნიმუშები მოიცავდა უვრცეს არეალს და ერთნაირად წვდებოდა აღმოსავლეთსაც და დასავლეთსაც, როგორც მისი ერთ-ერთი წიგნის სახელწოდება: „მაშრიყით მაღრიბამდე“ – რომლის შეფასებისასაც გურამ ასათიანი თვით ამ რუსთველურ ეპითეტსაც არ მოერიდებოდა:

ხელიხელსაგოგმანებელიო!..

ისტორიკოსისა და მწერლის იშვიათ შერწყმას რაც უნდა დაებადებინა.

ადრე ჩამოშორდებოდა ბელეტრისტიკას, თუმც რამდენიმე საანთოლოგიო მოთხრობას დაგვიტოვებდა: „ხვალ დოღი იქნება ხეობაში“, „გამოღვიძება“, „ჩიხი“...

და თარგმნის სფეროსაც რომ მოსინჯავდა, იმ წარმატებით, თუნდ ვარლამ შალამოვის ნოველები სანიმუშოდ რომ დარჩება, როგორ შეიძლება მწერალმა სხვა ენობრივ გარემოში სრულყოფილად შეინარჩუნოს თავი ნიუანსობრივი ამეტყველების წყალობით; და კიდევ ერთ დასტურად, რომ პროზის თარგმნა არანაკლებ დიდ ხელოვნებას მოითხოვს, ვიდრე პოეზიისა.

ისტორიკოსისა და მწერლის იშვიათი შერწყმაო...

უამრავი უცნობი დეტალი, შტრიხი, გარემოებაც რომ უნდა შემოეტანა სამეცნიერო და საზოგადოებრივ მიმოქცევაში და მომხიბლავი თხრობა გადაევსო მახვილგონივრული დაკვირვებებით, მიგნებებით, აღმოჩენებით... ეს ყოველივე კი გაჰყოლოდა რომაული შეგონების კვალს: ისტორია რომ უნდა იწერებოდეს მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე.

და ამიტომაცაა, გზამკვლევად რომ გვევლინება მისი ესეებიცა და ნოველებიც ისტორიის ლაბირინთებში შესაღწევად და ამა თუ იმ დროის ქერქში ჩასაჯდომად, ილია ჭავჭავაძე იდეალად რომ გვისახავდა სწორედაც დროის ქერქის შეგრძნებას გარდასული ჟამის იდუმალი მაჯისცემის მისაყურადებლად.

დადგება ის დროც, როდესაც თამაზ ნატროშვილის ისტორიულ ნოველებს სკოლის სახელმძღვანელოებშიც მიუჩენენ ადგილს – როგორც ისტორიისა, ისე ლიტერატურისა.

და საერთოდაც: ერთ-ერთ საყრდენად დადგინდება ქართველი ახალგაზრდობის სულიერი ჩამოყალიბებისთვის, და ახალი და ახალი თაობებიც ისევე გაიზრდებიან ამ წიგნებზე: „მაშრიყით მაღრიბამდე“ იქნება, „წელი ერთი და ათასი“ თუ კიდევ ის სერიები, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მიმობნეულნი ერთად შეკონვას რომ ელოდებიან – როგორც 70-იანი თუ 80-იანი წლების ახალგაზრდები ვიზრდებოდით ამ კიდევ ერთ მიღწევაზე ისტორიოგრაფიისა და მწერლობის გადაკვეთისა, ხელიხელსაგოგმანებელზე.

და ჩვენი დროებაც რომ წარუდგენს შთამომავლობას თავის მონაპოვარს, თუ რა შევძინეთ ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის საგანძურს ძვირფას თვლებად თუ ოქროს ზოდებად, ამ რკალში უთუოდ მოექცევა თამაზ ნატროშვილის დაუმცხრალ ძიებათა გვირგვინიც, როგორც დასტური ჩვენი ცხოვრების დრამატული ხანის შინაგანი სისავსისა.

მოექცევა ხელიხელსაგოგმანებლად...

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲡ ᲐᲦᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ

ᲝᲨᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ, – ამის შესახებ თურქეთის ტურიზმისა და კულტურის მინისტრის მოადგილე სერდერ ჩამმა ქართველ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

„ყველა ისტორიული ძეგლი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. თქვენ იცით, რომ ართვინის რეგიონში იშხანის რესტავრაცია დასრულდა. ასევე მოხდა თამარის ხიდების რესტავრაცია. ოშკს რაც შეეხება, სამუშაოები იქ უკვე დაწყებულია. ახლა ველოდებით ტენდერის გამოცხადებასა და ჩატარებას, რათა სამუშაოების ჩატარების აქტიურ ფაზაში გადავიდეთ“, – აცხადებს სერდერ ჩამი.

მისივე თქმით, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია, თუკი ამა თუ იმ ისტორიულ ძეგლს, ეკლესიას ან მეჩეთს ჰყავს მრევლი, მათ ამ კუთხითაც შეძლონ ფუნქციონირება, როგორც თურქეთში, ასევე საქართველოში.

„ზოგადად, თურქეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რელიგიური მრავალფეროვნება. პირობა მინდა მოგცეთ, როდესაც დასრულდება რეაბილიტაცია, ჩამოხვალთ და ერთად მოვინახულებთ მას“, – მიმართა ჟურნალისტებს თურქეთის ტურიზმისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ.

თურქეთის ტურიზმისა და კულტურის მინისტრის მოადგილესთან შეხვედრა ჟურნალისტთა საერთაშორისო საბჭოსა და საქართველოში თურქეთის საელჩოს ორგანიზებით შედგა.

◎ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲔᲑᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲐᲕᲗᲝ ᲕᲐᲠᲐᲖᲘᲡ „ᲨᲐᲠᲕᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘ“

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲮᲘᲚᲕᲐ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚ ᲛᲝᲛᲨᲐ-Ს ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲗᲐ ᲔᲜᲘᲗ ᲗᲣ ᲕᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲔᲑᲣᲠ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲡ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ.

ამ ჯერზე ამერიკული მუზეუმის მუდმივმოქმედი ექსპოზიციის სხვადასხვა სტილში შექმნილი აუარება ექსპონატიდან მხოლოდ ერთზე, პოპ-არტის სტილში შესრულებულ ერთობ უცნაურ კომპოზიციაზე გვინდა გიამბოთ. ესაა ხარის თავის გამოსახულება, რომელსაც დაკვირვებული მნახველი უცნაურად დადებული ჩვეულებრივი შარვლის ნაკეცებში დაინახავს. ნაჭერი მეტად მდგრადი სპეციალური წებოთია გაჟღენთილი და შეღებილ თაბაშირის საყრდენზეა დამაგრებული.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲗᲝ ᲕᲐᲠᲐᲖᲘ „ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ

როგორც ამბობენ, ეს კომპოზიცია შემთხვევით მაშინ წარმოიშვა, როცა დაღლილი მხატვარი დაძინებას აპირებდა და ტანსაცმელს პირდაპირ იატაკზე ყრიდა. დილით კი მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თვალებით იატაკიდან ხარის მრისხანე მზერას შეეფეთა... გაოცებულმა მხატვარმა ამ სასწაულის შენარჩუნება გადაწყვიტა და წლების შემდეგ ეს ხარის თავი დამთვალიერებლებს კვლავაც დაჟინებული მზერით აცილებს.

თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა უბრალოდ ლეგენდა, რომლის სინაღდის შემოწმება ახლა უკვე შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ კაცმა იცი, როგორი არაჩვეულებრივი ნამუშევრებია ამ მხატვრის შემოქმედების ნაყოფი... საქართველოში პოპ-არტის მიმდინარეობის ამ ფუძემდებლის გვარი კი **ავთო ვარაზია,** რომელიც ყოველმხრივ ნიჭიერი კაცი, ფერმწერი და არტისტი გახლდათ.

იგი დაიბადა თბილისში, 1926 წლის 26 ოქტომბერს, ცნობილი მეცნიერი ფიზიოლოგისა და ბიოქიმიკოსის ვასილ ვარაზის (ვარაზიშვილის) ოჯახში. მისი სტუმართმოყვარე სახლი მუდამ ხალხით იყო სავსე, ახლობელთა შორის საქართველოს კულტურისა და მეცნიერების არაერთი გამოჩენილი მოღვაწე გახლდათ. ამდენად, სულაც არაა გასაკვირი, რომ ასეთ შემოქმედებით ატმოსფეროში გაზრდილმა ბიჭუნამ ღრუბლივით შეისრუტა ხელოვნებისადმი, ზოგადად, ყოველივე ამაღლებულისადმი უსაზღვრო სიყვარული. მან ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა გრაფიკოსი მხატვრის უზადო ნიჭი და მოსკოვში გამართულ საკავშირო სამხატვრო კონკურსის გამარჯვებულიც კი გახდა მიხეილ ლერმონტოვის პოემა „მწირისთვის“ შექმნილი ილუსტრაციებისთვის.

ამდენად, ოჯახი და ახლობლები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, რომლებიც ავთო ვარაზმა შემდგომ სავსებით გაამართლა: იგი დიდებული მხატვარი გახდა, რომელიც იმ ხანის თბილისშიც კი, სადაც არაერთი უნიჭიერესი შემოქმედი იყო, მაინც გამორჩეული იყო თავისი ბრწყინვალე შემოქმედებით. თანაც იგი უბრალოდ „ერთ-ერთ ნიჭიერ მხატვრად“ კი არა, არამედ ახალ მხატვრულ მიმდინარეობათა წამომწყებადაც მოევლინა საზოგადოებას.

გარდა ამისა, ცალკე აღსანიშნავია ავთო ვარაზის მიერ კინოში ბრწყინვალედ განსახიერებული გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სახე ჩვენი გამოჩენილი რეჟისორის გიორგი შენგელიას დაუვიწყარ „ფიროსმანში“.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ მხატვრობის სხვა ჟანრებზე მეტად, ავთო ვარაზს პორტრეტი იზიდავდა, თუმცა კი დაკვეთით არასდროს უმუშავია. მხატვრის მიერ ტილოებზე გამოსახული ყველა ადამიანი მისი ნათესავი, ახლობელი და უბრალოდ, კარგი ნაცნობია.

დიდად სამწუხაროა, რომ ავთო ვარაზის მემკვიდრეობა მოცულობით მცირეა, რისი მიზეზიც, უპირველესად, ისაა, რომ იგი ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. წლეულს მისი დაბადებიდან 96 წელი შესრულდება.

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

შოთა არველაძე: ვიზიარებ უკრაინის ტკივილს და მივმართავ ჩემს ყველა უკრაინელ მეგობარს...

„2008 წლის გამო საქართველო დღესაც დაძაბულია“...

პოპულარულმა ინგლისურმა გამოცემა „სანმა“ (The Sun) „ჰალ სიტის“ მწვრთნელ შოთა არველაძესთან ძალიან საინტერესო ინტერვიუ გამოაქვეყნა...

„მე ვიზიარებ უკრაინის ტკივილს“, — ამბობს შოთა და იხსენებს 2008 წელს, როცა ვლადიმირ პუტინის ჯარები შეიჭრნენ მის სამშობლოში...

როცა ხუთშაბათს რუსულმა ტანკებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი, „ჰალის“ მწვრთნელი **შოთა არველაძე** მტკივნეულ მოგონებებში დაბრუნდა. 2008 წელს რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, რომლის ნაწილი დღემდე ოკუპირებულია.

ვლადიმირ პუტინმა გაგზავნა თავისი სამხედროები უკრაინაში ცრუ მოტივით — თვითგამოცხადებული რესპუბლიკების, ლუგანსკისა და დონეცკის დასახმარებლად და უკრაინის დემილიტარიზაციისთვის, ეს კი საოცრად ჰგავდა საქართველოში მაშინდელ შეჭრას. 2008 წელს რუსი დესპოტი აცხადებდა, რომ ეხმარებოდა კიდევ ორ თვითგამოცხადებულ, მაგრამ არაღიარებულ რესპუბლიკას — ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

არველაძე სამშობლოში ფეხბურთის ლეგენდაა, აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ და ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 61 მატჩში გატანილი აქვს 26 გოლი. ასევე სიამაყით ამბობს, რომ 6 მატჩი საქართველოს ნაკრებში ტყუპისცალ **არჩილთან** და უფროს ძმასთან, **რევაზთან** ერთად ჩაატარა.

„2008 წლის გამო, საქართველო დღესაც ძალიან დაძაბულია და საუკეთესო სურვილებით მივმართავ ჩემს ყველა უკრაინელ მეგობარს — ეს არის ქვეყანა, რომელიც ჩვენ გვიყვარს. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ბრძოლა, ბომბების ჩამოგდება და ომი, რომელსაც ბევრი სიკვდილი მოაქვს და ანადგურებს ოჯახებს, მშობლები ტირიან შვილების დაკარგვის გამო... საქართველოს მრავალი კონფლიქტი ჰქონდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს კვლავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა და ახლა უკრაინაშიც ეს ხდება. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნები და საბჭოთა ბლოკის გარშემო მყოფი სხვა სახელმწიფოები კვლავ იბრძვიან და, სამწუხაროდ, ამას ვერავინ ვერაფერს უხერხებს. ძალიან მტკივნეული და რთულია ამ ყველაფრის ხილვა“, — ამბობს არველაძე.

არსებობს შიში, რომ პუტინის გრძელვადიანი მიზანი საბჭოთა სტილის იმპერიის აღდგენაა, მაგრამ არველაძე კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ დღეებში დაბრუნებას, როცა მოსკოვს კომუნისტები მართავდნენ. არველაძე გაიზარდა საქართველოს დედაქალაქ თბილისში, როცა ქვეყანა ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. მისი მშობლები ექიმები არიან.

მან თქვა: **„რატომ უნდა დავუბრუნდეთ იმას, რაც არ იყო დღევანდელივით კარგი? ჩემთვის ეს დელიკატური თემაა, რადგან ვამაყობ ჩემი ხალხით, რომელსაც ამხელა ისტორია აქვს. 1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, დამოუკიდებლობამ საკუთარი იდენტობა დაგვიბრუნა. ჩვენ ვკითხულობდით ძალიან ბევრ წიგნს საქართველოს ისტორიაზე, პირველ-მეორე საუკუნეების და IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის მიღების შესახებ. გვაქვს III-V საუკუნეების ეკლესიები. ასევე, ქართული ენა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მას თავისი ანბანი აქვს და სრულიად უნიკალურია“.**

არველაძე იხსენებს, რომ 2008 წლის კონფლიქტმა საქართველოს ტანჯვა მოუტანა: **„ჩვენ, პატარა ქვეყანას, გვყავდა ბევრი ცნობილი არტისტი, მუსიკოსი და ოლიმპიური ჩემპიონი. ასევე საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, ვინც 8000 წლის წინ აწარმოებდა ღვინოს. ჩვენ გვაქვს ღვინის 55 სახეობა, ფრანგებს კი მხოლოდ — 9! ჩვენ შესანიშნავ ყველს და პურს ვამზადებთ“.**

შოთა იხსენებს ბავშვობას, სადაც მთავარი ფეხბურთი იყო: **„ერთ დღეს ჩემი მშობლები სახლში ბურთით მოვიდნენ — ვინ იფიქრებდა, რომ ამის წყალობით ჩვენ პროფესიონალი ფეხბურთელები გავხდებოდით. ვთამაშობდით სახლში და მინებს ვამსხვრევდით. ექიმების შვილები ვიყავით და არავინ ელოდა, რომ საფეხბურთო გზას დავადგებოდით. მადლიერი ვარ მშობლების, თავისუფალი არჩევანის საშუალება რომ მოგვცეს ქვეყანაში, სადაც იმ დროს ეს რთული წარმოსადგენი იყო. მათ მოგვცეს კარგი განათლება და არ გვიშლიდნენ გვეკეთებინა ის, რაც გვიყვარდა, არ გვიბიძგებდნენ იმისკენ, რომ გავმხდარიყავით იურისტები, ექიმები ან სხვა“.**

არველაძემ მატჩი პირდაპირ ეთერში პირველად 6 წლისამ, 1979 წელს ნახა, როცა თბილისის „დინამომ“ „ლივერპული“ ჩემპიონთა თასიდან გააგდო: **„მეორე მატჩში ჩვენ მოვიგეთ 3:0, საერთო ჯამში კი — 4:2. ეს შესანიშნავი მოგონებაა ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ. 1981 წელს, თასების მფლობელთა თასზე, „ვესტ ჰემი“ ჩამოვიშორეთ“.**

„ტყუპი“ თავად თამაშობდა „დინამოში“, ზედიზედ 4 ჩემპიონატი და თასი მოიგო, შემდეგ კი „ტრაბზონსფორში“, „აიაქსში“, „რეინჯერსში“, „ალკმაარში“ ითამაშა და ბრწყინვალე კარიერის ბოლო თამაში პოეტურად “სანტიაგო ბერნაბეუზე“ — მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ “ლევანტეს“ მაისურით ჩაატარა.

არველაძემ, რომელმაც **ლუის ვან გაალის** მწვრთნელობის დროს „ალკმაარში“ ითამაშა, იქვე პირველი სამწვრთნელო გამოცდილებაც მიიღო, კარიერის დასრულების შემდეგ ნიდერლანდელთან ასისტენტის როლში მუშაობით: **„ის ყველაზე უშუალო ადამიანია, ვისაც კი ადრე შევხვედრივარ. მას შეეძლო, ყველაფერი დაწვრილებით აეხსნა — ძალიან ადვილად და გასაგებად“.**

ქართველი, რომელიც ასევე ეხმარებოდა **რონალდ კუმანს** „ალკმაარში“, ხელმძღვანელობდა თურქულ კლუბებს — „ქაისერისფორს“, „ქასიმფაშას“, „ტრაბზონსფორს“, ისრაელის გიგანტ თელავივის „მაკაბის“ და უზბეკეთში ტაშკენტის „პახტაკორს“, სადაც ნ ტიტული მოიგო.

ის „ჰალში“ კლუბის ახალმა თურქმა მფლობელმა **აჯუნ ილიჯალიმ** მიიწვია: **„მიყვარს ინგლისური ფეხბურთი, ატმოსფერო სტადიონზე, გულშემატკივრები... ეს არის ის, რაც შეიძლება ფეხბურთში ყველაზე მეტად გინდოდეს“.**

...და სანამ რუსული ჩექმა სუვერენულ ევროპულ ქვეყანაში მუქარით მსვლელობას აგრძელებს, არველაძეს აქვს ბოლო გზავნილი: **„კი არ ვიომოთ, მოდით, ვითამაშოთ ფეხბურთი და იმის მაგივრად, რომ ადამიანებს ტანჯვა მივაყენოთ, ფეხბურთით მივანიჭოთ სიხარული. სამყარო ასე ბევრად უკეთესი იქნება“.**

ოვალური ბურთი

ნიკა ამაშუკელი: როდესაც თამაში დაიწყო, ემოციები გვერდზე გადავდე და კარგი შეფასება მივიღე...

ნიკა ამაშუკელმა ექვს ერში ირლანდიისა და იტალიის შეხვედრა მთავარი მსაჯის რანგში განსაჯა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ამ ტურნირზე ტიერ2 ქვეყნის წარმომადგენელმა იმუშავა. ნიკას 6 ერში დებიუტი 6 თებერვალს გამართულ საფრანგეთისა და იტალიის მატჩზე ჰქონდა, როდესაც მთავარი მსაჯის პირველი ასისტენტი იყო.

უშუალოდ „ავივას“ სტადიონზე გამართული ჯახი კი უკრაინისადმი სოლიდარობით დაიწყო. შეხვედრის მე-18 წუთზე ამაშუკელმა ამე ფაიმა მოედნიდან გააძევა და იტალიელები კაცნაკლული დარჩნენ. ირლანდიამ მეტოქეს 9 ლელო დაუდო და დიდი ანგარიშით — 57:6 აჯობა.

იმის გამო, იტალიას ამ ტურნირზე 2015 წლის შემდეგ რომ არ მოუგია, გაუთავებელი კამათი მიდის იმის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა მას გარანტირებული ადგილი ექვს ერში. იყო აგრეთვე მსჯელობა, უნდა მიიღონ თუ არა შანსი იტალიის ნაცვლად საქართველოს მსგავსმა ქვეყნებმა.

ჯერ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში ქართველმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ არა როგორც მოთამაშემ — ის მთავარი მსაჯი იყო.

— ექვსი ერი, ირლანდიისა და იტალიის მორაგბეთა ნაკრები გუნდების დაპირისპირება და უკრაინისადმი სოლიდარობა...

— განსაკუთრებული ემოცია იყო, რადგან მეორე დონის სარაგბო ქვეყნიდან პირველი ქართველი მთავარი მსაჯი ვიყავი. ემოციური იყო ჰიმნები, ემოციური იყო უკრაინისადმი მიძღვნილი აპლოდისმენტები და ფეხზე წამომდგარი გადაჭედილი „ავივა სთედიუმი“.

6 ერის მატჩი თავისი დიდებით ისეთი იყო, როგორიც წარმომედგინა. რაც შეეხება ირლანდია — იტალიის დაპირისპირებას, ძალიან საინტერესო თამაში გამოვიდა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არც მეგონა, ამდენი სარაგბო ექსპერტი თუ არსებობდა.

ზუსტად ისე მოხდა ყველაფერი, როგორც უნდა მომხდარიყო - წესების მიხედვით და ეს კარგი გამოცდა იყო. როდესაც ამ დონის გუნდებთან წესების მხრივ გაუგებრობა იქმნება და მსაჯთა ბრიგადა დგას თავის მყარ პოზიციაზე, წესის მიხედვით წარმართავს ყველაფერს, ეს დიდი გამოცდაა და ამ გამოცდას თავი კარგად გავართვი. სხვა მხრივ არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ფავორიტი ირლანდია იყო და მას შემდეგ, რაც იტალია კაცნაკლული დარჩა, საერთოდ გაუადვილდა ყველაფერი. ამ თამაშის შემდგომ კარგი შეფასება და გამოხმაურება მივიღე.

— ოცნების ასრულება და ემოციები

— ძალიან დიდი შრომა ჩავდე, რომ აქამდე მოვსულიყავი. ასევე იმისთვის, რომ ამ მატჩზე ოპტიმალურად გამოვსულიყავი. ვფიქრობ, დიდი პროცენტულობით ეს ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემთვის ემოციური იყო. თუმცა, რა თქმა უნდა როდესაც თამაში დაიწყო, ემოციები გვერდზე გადავდე. იმდენად რთულია მსგავსი დონის მატჩების განსჯა, რომ მაყურებელს ეს ვერც კი წარმოუდგენია. იმდენად დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული მოედანზე გასვლა და ოპტიმალურად მსაჯობა, რომ ამის გადმოცემა შეუძლებელია. ამიტომ ის, რომ კომუნიკაცია იყო ძალიან გამოზომილი, მოძრაობა, ჯარიმები ზუსტად წესების ინტერპრეტირებით, ამაში ძალიან დიდი საქმე იყო ჩადებული და მიხარია, რომ ეს ყველაფერი გავაკეთე. რა თქმა უნდა, წნეხი ყოველთვის მოჰყვება მსაჯის მიმართ, როცა ასეთი რაღაცეები ხდება მოედანზე — ვგულისხმობ გაძევებას და ამის გამო ყოველთვის არის უკმაყოფილება, მაგრამ დამიჯერეთ, ყველაფერი ისე იყო, როგორც საჭიროა სარაგბო წესების მიხედვით.

— მსოფლიო ჩემპიონატის მატჩის განსჯა და სამომავლო გეგმები

— მსოფლიო რაგბის ელიტურ პანელში 13 მსაჯი ვართ და ყველას მიზანი ის არის, რომ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე იმსაჯოს. გამონაკლისი არც მე ვარ. სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, უნდა მივყვე დინებას, ყველა შემდგომი დანიშვნა წინა პერფორმანსებიდან გამომდინარეობს. ამიტომ წინასწარ არ ვიცი, სად დამნიშნავენ. გამოხმაურება კარგი მაქვს და ველოდები, რომ ისევ იქნება კარგი თამაშები. შრომისა და თავდადების მხრივ არაფერს არ შევცვლი, დანარჩენი კი ვნახოთ, რა მოხდება. არ ვფიქრობ წინასწარ, მსოფლიოზე მოვხვდები თუ არა, რადგან ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ამ გზაზე თუ ფეხი დაგიდგა, დიდი შანსია, რომ ძალიან მარტივად ჩამოშორდე ყველაფერს, ამიტომ შორეულ მიზნებზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ, — ამბობს ნიკა ამაშუკელი.

გეტყვით, რომ ამაშუკელი პირველი ქართველი არბიტრია, რომელმაც მანამდე 7-კაცას მსოფლიო სერიაზე, მალაგას ეტაპზე იმსაჯა. ამის შემდეგ ექვსი ერის ჯერიც დადგა, მანამდე კი ჩემპიონთა თასის, ჩელენჯ ქაფის და 2019 წლის U20 ექვსი ერის მატჩებზეც უმუშავია.

ომის გამოძახილი: სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტების გაძვირება გრძელდება!

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად, საერთაშორისო ექსპერტები ხორბლის ფასის მატებას ვარაუდობენ. ამასთან, უკვე გაძვირდა ნავთობი, ოქრო და რაც ყველაზე სავალალოა, მკვეთრად გაუფასურდა ქართული ლარი. ჩიკაგოს ბირჟაზე ხორბლის ფასები 50 ცენტით გაიზარდა და ერთ ბუშელზე 9.68 დოლარს მიაღწია. უკრაინაში სამხედრო მოქმედებების პარალელურად ფასები გაიზარდა მინეაპოლისის მარცვლეულის ბირჟაზეც. ზრდა აქაც 50 ცენტის ფარგლებში იყო.

რუსეთი ხორბლის მიმწოდებელი უმსხვილესი ქვეყანაა ევროპისთვის, ხოლო უკრაინა კი ხორბლის მოცულობით, მეხუთე ქვეყანაა. ორივე მათგანზე კი, მარცვლეულის მომარაგების მხრივ, საქართველო მთლიანადაა დამოკიდებული.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია, რუსეთმა ხორბლის ექსპორტი საერთოდ აკრძალოს. ამის შესახებ ფინანსისტი **ნიკა შენგელია** საუბრობს. **„არ გამოვრიცხავთ, რომ სანქციების გაძლიერების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციამ ხორბლის ექსპორტი აკრძალოს. ასეთ შემთხვევაში პურზე ფასების სტაბილურობა დიდი ეჭვის ქვეშ დგება. ერთადერთი გამოსავალია, მთავრობამ დროულად შეამციროს გადასახადები, როგორც დროებითი ღონისძიება“,** — განაცხადა შენგელიამ.

ექსპორტის შეწყვეტა, ცხადია, დიდ პრობლემას შეუქმნის საქართველოს, რომელიც იმპორტირებული ხორბლის 99%-ს რუსეთში ყიდულობს, ხოლო ფქვილის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 96%-ია. ხორბლის გარდა, უდიდესი პრობლემაა ნავთობის საერთაშორისო ფასები. უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ ერთ ბარელ ნავთობზე ფასმა 105 დოლარს გადააჭარბა. ნავთობის ასეთი მაღალი ფასი ბოლოს 2014 წელს იყო. შესაბამისად, საქართველოშიც ნავთობპროდუქტების ბაზარზე ფასების მკვეთრ ცვლილებას ელიან. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ ლარიც მკვეთრად უფასურდება, რაც ადგილობრივი ბაზრისთვის დიდი წნეხია. როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანია „სენტას“ დამფუძნებელი **ზაალ იაკობიძე** „კომერსანტთან“ აღნიშნავს, ბაზარი შოკშია.

„ორი ცუდი ამბავი მოხდა ერთდროულად: ერთი, რომ საერთაშორისო ბაზარზე ფასები „გაფრინდა“ და საქართველოში ლარის კურსი მკვეთრად გაუფასურდა. შესაბამისად, გაძვირდება ყველაფერი და პირველ რიგში, ნავთობპროდუქტები. ეს ადვილად მისახვედრია. საერთაშორისო ბაზრებზეც, გარდა ნავთობპროდუქტებისა, ყველა დასახელების საქონელი გაძვირდება. ჩვენთვის ეს განსაკუთრებით რთულ ვითარებას ქმნის, რადგან არ ვიცით, სადამდე მივა ეს ნიშნული — რამდენით გაუფასურდება ლარი და რამდენით გაძვირდება ნავთობპროდუქტები, ერთ-ორ დღეში შეიძლება ვერ გამოჩნდეს. თუმცა ვითარება თუ უცვლელი დარჩა, ფასების მკვეთრი ზრდა გველის“, - თქვა იაკობიძემ.

ეკონომისტი **ზურა კუკულაძე** კი ვერ ხედავს ვერანაირ მექანიზმს, რაც გაძვირების ტენდენციას შეაჩერებს. მისი აზრით, შექმნილ ვითარებაში ვერც აქციზის განაკვეთის კლება იმუშავებს.

„უკვე გამოჩნდა, რომ ფასების შენარჩუნება რამე მექანიზმით შეუძლებელია. შექმნილ ვითარებაში ვერც აქციზის განაკვეთის კლება იმუშავებს. პანიკური ფონია და ამიტომაც გაძვირდება ყველაფერი. როცა სპეკულაციური ვითარებაა ბაზარზე და დალაგებული სისტემა ირევა, ასეთ დროს ფასწარმოქმნის ახალი გარემო იქმნება. აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, უნდა შევეგუოთ, რომ ვალუტისა და პროდუქტების ბაზარიც გარკვეულ ეტაპზე იქნება სპეკულაციური. უნდა ვებრძოლოთ პანიკას, ამას სხვა არაფერი ეშველება. ჩვენზე არაფერია დამოკიდებული“, — აღნიშნა ეკონომისტმა.

ბექა დანელია

სანთელი

გაზეთის 2 მარტის ნომერში გაიპარა დასანანი ტექნიკური შეცდომა, სამგლოვიარო განცხადებაში ქეთევან ივანეს ასული ქუმსიშვილ-ჭიჭიაშვილის ნაცვლად დაიბეჭდა ჯიჯიაშვილი, რის გამოც ბოდიშს ვუხდით გარდაცვლილის ჭირისუფლებს. განცხადებას კი ვაქვეყნებთ ახალი რედაქციით.

თენგიზ ქავთარაძე, მიხეილ სალაძე, ბორის გოგიჩაიშვილი, გიორგი კანდელაკი, ნოდარ კურტანიძე სამძიმარს უცხადებენ სიმონ ჭიჭიაშვილს დედის

ქეთევან ივანეს ასული ქუმსიშვილ-ჭიჭიაშვილის

გარდაცვალების გამო.

სოციალურად დაუცველი პირების დასაქმება დაიწყო

— ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში ამ ეტაპზე 14 382 ვაკანსიაა, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

„საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია, სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ, მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისცენტრებს. პროგრამის ბენეფიციარები 18 წლისა და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს ოთხი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება“, — აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში.

„პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, სამინისტროს ცხელ ხაზზე — 15 05 დაკავშირება შეუძლიათ“, — აღნიშნავენ ჯანდაცვის სამინისტროში.

რუსეთის ეკონომიკა სერიოზულ დარტყმებს განიცდის!

რუსეთის პრეზიდენტის პრესსპიკერი დმიტრი პესკოვი აღიარებს, რომ რუსეთის ეკონომიკა დასავლეთის სანქციების გამო, სერიოზულ დარტყმებს განიცდის.

პესკოვის განცხადებით, დასავლეთის სანქციები გამოხატავს „მტრულ ქმედებებს“, რომლებიც მიზნად ისახავენ, შეარყიონ და ძირი გამოუთხარონ რუსეთის ეკონომიკის მთლიანობას.

„ასეთ პირობებში მიღებული იქნება ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს რისკებისა და შედეგების მინიმიზაციას და დაგვაზღვევს ეკონომიკური რყევებისგან“, — თქვა პესკოვმა.

მისივე თქმით, ვინაიდან ეს „არამეგობრული ზომები“ უპრეცედენტოა, „ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ მკაცრად, გააზრებულად და მკაფიოდ“.

მანამდე, რუსეთის ვიცე-პრემიერმა იური ბორისოვმა განაცხადა, რომ „რუსეთის ეკონომიკის წინააღმდეგ მიმდინარე სანქციების სრული მასშტაბისა და სიღრმის პროგნოზირება რთული იყო“, მაგრამ ხელისუფლება მუშაობს სხვადასხვა მექანიზმებზე ინდუსტრიის მხარდასაჭერად და „პანიკას არ არის მიცემული“.

საქართველოს ბიზნეს-ასოციაციამ უკრაინის დასახმარებლად 100 000 ლარი გადარიცხა

„უკრაინისთვის დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც მორალური ასევე ფინანსური მხარდაჭერა; აქედან გამომდინარე ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელმა გუნდმა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით გადაწყვიტა 100 000 ლარის ოდენობით ფულადი დონაცია განეხორციელებინა. ამ გზით ვეცადეთ თანადგომა გამოგვეხატა ჩვენი უკრაინელი ძმებისა და მათი ოჯახებისადმი. გვინდა მადლობა გადავუხადოთ მთლიანად ბიზნეს-სექტორს და სხვა ყველა შემომწირველს, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ მარათონში და მნიშვნელოვანი თანხა იქნა აკუმულირებული, რაც ვფიქრობთ, გარკვეულ წვლილს შეიტანს უკრაინის დახმარებაში. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაერთიანება საერთო იდეის გარშემო და მოხარულნი ვართ, როცა ვხედავთ ბიზნესის აქტიურობას. აქვე, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საომარი მოქმედებების, სარაკეტო და საჰაერო დაბომბვებისას დაღუპული მოქალაქეების გამო და ვიმედოვნებთ, რომ ომი, რომელიც ესოდენ ზარალს და ტკივილს აყენებს მთელ მსოფლიოს, უკრაინასა და უდანაშაულო ადამიანებს, უმოკლეს დროში დასრულდება. ყოველი ჩვენგანის ვალია, ხმამაღლა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, რათა უპირობოდ და დროულად შეჩერდეს საომარი მოქმედებები და უკრაინის მოქალაქეებისთვის შეიქმნას მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემო“,** — ნათქვამია საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის განცხადებაში.

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის 2021 წლის ანგარიში

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდი დაფუძნდა 1996 წლის 11 ივნისს იუსტიციის სამინისტროს მიერ. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 1998 წლის 3 ივლისს იუსტიციის სამინისტროში.

ფონდმა განვლილი პერიოდის განმავლობაში მრავალი შესანიშნავი ღონისძიება განახორციელა. 2021 წელს ფონდმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე პანაშვიდი გადაუხადა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ ბიჭებს, ფონდის მიერ გაშენებულ ხეივანში და გვირგვინით შეამკო მათი ხსოვნის ქვა. ასევე ფონდმა შობა-ახალი წელი მიულოცა მარჩენალ დაკარგულ ოჯახებს და გაახარა ობოლი ბავშვების გულები.

ობოლ ბავშვთა დახმარების ახალგაზრდული ფონდის დირექტორი.

ლია პაპიაშვილი

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ომი

გრიცკო ხალიმონენკოს

სადღაც წვიმა და...
სადღაც თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!

დუმს თებერვალი,
ცივი, უმზეო,
ყველგან ღაღანებს ცეცხლის ჯეჯილი,
რკინის „ნახირი“ — მიწა უმწეო,
ტანკის მუხლუხით გადაღეჭილი.

აღარ გიგალობს ჰანგი ღვთიური,
ირგვლივ სირენის მოთქმა დახევდა —
ბრძოლის დაწყების უვერტიურა,
ომის ღმერთიც რომ ხელს მოაწერდა.

შიშით ვიძინებ.
შიში მაღვიძებს,
ვაითუ გაქრი და აღარა ხარ.
მახსოვს აგვისტო —
ო, ამ „ნახირმა“
ჩემი მინდვრებიც მოიბალახა.

ხმალი ვიქნიე,
ფარი ვიფარე,
ტანჯვის ემბაზში სისხლმა გამბანა.
თქვი, უკრაინავ, შენი იღბალი,
ჩემს ბედისწერას რამ დაამგვანა!

ვინ ააქოთა პანდორას ყუთი,
რატომ გწამლავენ მიწავ, ნაკურთხო!
აშლილ ავსულთა ჯილაგი კუთავს,
სიყვარულს სულში რომ ჩააფურთხოს!

სადღაც ცუნამი,
სადღაც ღვარცოფი,
სადღაც ხარები ხნავენ კორიდას,
ჩაცხრა, წავიდა ცოფი კოვიდის,
სამაგიეროდ, ომი მოვიდა!
ო, ჩერემშინავ,
ცეცხლი ჩაქრება —
ხმები, სირენის, ხმალთა კვეთების,
გაგითბობს ფესვებს მზე გამარჯვების
და თეთრ კელაპტრად ამოენთები!..



ჯერ კი წვიმა და...
ჯერ კი თოვლი და...
უკრაინაში ომი მოვიდა!

ვანო ჩხიკვაძე.

ზელენსკი: რუსეთი მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის წაშლას

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინაში რუსეთის შეჭრის პირველი ექვსი დღის განმავლობაში თითქმის 6 000 რუსი სამხედრო დაიღუპა და რომ კრემლი ვერ შეძლებს უკრაინის ბომბებითა და საჰაერო თავდასხმებით აღებას.

ბაბი იარზე რუსეთის თავდასხმაზე საუბრისას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის საოკუპაციო ჯარების მიერ ებრაელების ხოცვა-ჟლეტის ადგილია, ზელენსკიმ თქვა: **„ეს დარტყმა ადასტურებს, რომ რუსეთში ბევრი ადამიანისთვის ჩვენი კიევი აბსოლუტურად უცხოა“. „მათ არაფერი იციან კიევის, ჩვენი ისტორიის შესახებ. მაგრამ მათ აქვთ ბრძანება წაშალონ ჩვენი ისტორია, წაშალონ ჩვენი ქვეყანა, წაშალონ ყველა ჩვენთაგანი“...**

ნობელიანტები რუსეთის წინააღმდეგ

ნობელის პრემიის ლაურეატებმა რუსეთის მთავრობას ღია წერილით მიმართეს, რომელშიც უკრაინიდან ჯარის გაყვანისკენ მოუწოდეს. წერილი Nobel Campaigns-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

„1939 წელს ნაცისტური გერმანიის პოლონეთსა და 1941 წელს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ პრეზიდენტ პუტინის ხელმძღვანელობით დაიწყო გაუმართლებელი სამხედრო აგრესია — ომი — მეზობელი სახელმწიფოს, უკრაინის წინააღმდეგ. ფრთხილად ვარჩევთ სიტყვებს, რადგან არ გვჯერა, რომ რუსი ხალხი ამ აგრესიაში როლს ასრულებს“, — აღნიშნულია წერილში. ავტორები გმობენ ომს და იმას, რომ პუტინი უკრაინის არსებობის ლეგიტიმურობას უარყოფს.

„ამ შეჭრის გამო რუსეთის რეპუტაცია ათწლეულების განმავლობაში შელახული იქნება. ეს დაბრკოლება იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის და სირთულეების წყარო მისი მოსახლეობისთვის. სანქციები რუსეთის ნიჭიერი და შრომისმოყვარე მოქალაქეების მსოფლიოს მასშტაბით გადაადგილებას შეზღუდავს. რა საჭიროა რუსეთსა და მსოფლიოს შორის კედლის აშენება?“, — წერენ ავტორები. მიმართვას ნობელის პრემიის 160-ზე მეტმა ლაურეატმა მოაწერა ხელი.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება

მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი უკრაინას დახმარების სახით 5,2 მილიარდ დოლარს გამოუყოფენ.

ორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის ხელმძღვანელების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი უკიდურესად შეშფოთებული არიან უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის შედეგებით და უკრაინელ ხალხს მხარდაჭერას უცხადებენ.

„ომს ასევე ახლავს მნიშვნელოვანი გვერდითი ეფექტები სხვა ქვეყნებისთვის. ნედლეულზე ფასი იზრდება და ქმნის ინფლაციის კიდევ უფრო ზრდის რისკს, რაც ყველაზე მეტად ღარიბ მოსახლეობას აზარალებს. კონფლიქტის გაგრძელების შემთხვევაში ფინანსურ ბაზრებზე შეფერხებები გაუარესდება. ბოლო დღეებში გამოცხადებულ სანქციებს ასევე ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები“, — ნათქვამია განცხადებაში. მსოფლიო ბანკი მზად არის, გამოუყოს უკრაინას სამი მილიარდი დოლარი უახლოეს თვეებში. ამ თანხიდან 350 მილიონ დოლარის მიღებას კიევი უკვე მომდევნო კვირაში შეძლებს. მსოფლიო სავალუტო ფონდი კი ივნისის ბოლომდე უკრაინას 2,2 მილიარდ დოლარს გამოუყოფს.

BMW რუსეთში წარმოებასა და ექსპორტს წყვეტს

როგორც გერმანული კორპორაციის ხელმძღვანელობამ განაცხადა, კომპანია კალინინგრადში ავტომობილების წარმოებას აჩერებს და რუსეთში მანქანების ექსპორტსაც წყვეტს.

„ვგმობთ აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ და მოვლენებს უდიდესი შეშფოთებით ვაკვირდებით. მიმდინარე გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ადგილობრივ წარმოებასა და რუსეთის ბაზარზე ექსპორტს ვწყვეტთ“, — განაცხადეს კომპანიაში. ცნობილი ხდება ისიც, რომ კომპანია Apple-მა რუსეთში ონლაინ-მაღაზიაში ტექნიკის გაყიდვა შეწყვიტა. რუსეთში თავისი წარმოების ფილმების ჩვენებაზე ჰოლივუდის კინოსტუდიებმაც თქვეს უარი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 მარტს

სრ

ეროვნული ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2244; ევრო - 3.6039;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3188;
100 რუბლი - 3.2024; თურქული ლირა - 0.2314;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9015;
1000 სომხური დრამი - 6.5931.

ამინდი 4 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 0,	დღე +6
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +5
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +5
თბილისი:	ღამე +3,	დღე +7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge